

**მერაბ კალანდიაძე**

**ყველა სიკეთე საბჭოთა  
რეალობასთან როდი ასოცირდება**

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი 2021

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გააბათილოს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, საკითხზე საბჭოთა წარმოდგენა. ის 1921 წლიდან კი არ იწყება, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ვიდრე ეს საბჭოთა გადასახედიდან შეიძლება ჩანდა. ჩვენ ამ დარგის განვითარების განსხვავებული სურათი დავდეთ. ამ საქმეში ჩვენს მთავარ წყაროდ კი, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები გვევლინება, რომელიც საბჭოთა ეპოქაში მიწვევების სქელ ნისლში გაეხვია.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების და ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის.

**რედაქტორი თეიმურაზ პაპასქირი**

**რეკონზენტები: თამარ ანთაძე  
მიხეილ ქართველიშვილი**

## **შესავალი**

აღბათ, მკითხველი გვაპატიებს ამ ლირიული გადახვევის გამო, მაგრამ, ეს ინტერესს მოკლებული არ იქნება. ეს საშუალებას მოგცემს ჩავიხედოთ ისტორიკოსის შემოქმედების ლაბორატორიაში. როგორ გაჩნდა წიგნის გამოცემის იდეა. რა გზა განვლო მან? ფაქტობრივად ჩვენ წინაშე იდგა დილემა. ეს ნაშრომი სამეცნიერო პუბლიკაციის სახით გაგვეკეთებინა თუ წიგნად გამოგვეცა. მკითხველის ყურადღებას მოკლედ შევაჩერებთ თუ როგორ გადაწყვიტეთ ეს საკითხი. საქმე ეხება წიგნის გამოცემის ისტორიას. რა თქმა უნდა, საინტერესო რაკურსია.

თავდაპირველად, განზრახული გვექონდა ამ საკითხზე სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, მაგრამ შემდგომში ჩვენმა შეხედულებებმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და, უმთავრესად, წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, მოსაზრებებით გახლდათ გამოწვეული. დღევანდელ პირობებში სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციას ძალიან დიდი დრო დაჭირდებოდა და უნდა ითქვას, რომ არც ისეთი რეზონანსი ექნებოდა, როგორც წიგნს, თუნდაც ძალიან პატარა მოცულობის. ამიტომ ბევრი ფიქრის შემდეგ აქცენტი წიგნის გამოცემაზე გაკეთდა. ეს რაც შეეხება ამ წიგნის გამოცემის ისტორიას.

კიდევ ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ შეიძლება ჩვენ ვაჭარბებთ, მაგრამ გვგონია, რომ მას ჩვენი მეცნიერული კვლევისათვის საპროგრამო დატვირთვა გააჩნია და მისი წიგნად ხილვა, ვიდრე ცალკე სამეცნიერო ნაშრომად, აღბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა. ამიტომ გადაწყდა მისი წიგნის სახით პუბლიკაცია.

შეიძლება ამის გაკეთება ამ თემისადმი მიძღვნილ დიდ მონოგრაფიაში, მაგრამ ოპერატიულად ამ სახის წიგნის გამოცემა უახლოეს ხანებში ჩაფიქრებული არ გვაქვს. ამიტომ მისი ცალკე გამოქვეყნება ვარჩიეთ.

ჩვენ ეს პრობლემა, მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში, დიდი ხანია გვაინტერესებდა. წლების მანძილზე ვიკვლევთ ამ პრობლემას და რამდენიმე ნაშრომი გვაქვს გამოქვეყნებული. ამჯერად ჩვენ ვცადეთ ჩვენი შეხედულებების კრისტალიზება მოგვეხდინა, კომპაქტურად გადმოგვეცა. ზოგიერთი რამ უფრო დავხვეწეთ, სრულვყავით, დავაზუსტეთ.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლას, პოპულარიზაციას, იმაზე გაცილებით ხანგრძლივი ისტორია, ტრადიცია, გააჩნია, ვიდრე ეს, დიდი ხნის მანძილზე, საბჭოთა გადასახედიდან მოჩანდა. ის სათავეს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან, შეიძლება უფრო ადრეც, და საქართველოს გასაბჭოებამდე თავის მწვერვალს, ზენიტს, აღწევს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებში. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. როგორც ჩანს, ეს ამ სფეროში მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი იყო, რომლის განხორციელებაც დაიწყებს. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე ეს, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და იმ ვაკუუმის, რომელიც ამ დარგში არსებობდა, შევსების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ, მცდელობას წარმოადგენს. მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ გასაბჭოებამდელი პერიოდისადმი ნიჰილისტური, სკეპტიკური, დამოკიდებულება, სრულიად უადგილო იქნებოდა. გასაბჭოებამდე ამ სფეროში არსებული ვითარებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების პიკად, აპოგეად, 1918-1921 წლებში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეტანილი წვლილის

უარყოფა, სრული იგნორირება, მიგვაჩნია. ეს მონაკვეთი, ფაქტობრივად, ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის ისტორიიდან, რაც ამ პრობლემისადმი საბჭოთა მიდგომის მთავარ ნაკლად შეიძლება იქნას მიჩნეული და ვერც ამ დარგის წარსულზე და კონკრეტულად ვერც ამ მონაკვეთის მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიყალბებს. ამგვარი მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული პრობლემის განხილვა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა.

განსხვავებული მიდგომის ძირითად თეზას საქართველოს საბჭოებამდე ამ დარგში არსებული ტრადიციის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წვლილის, რომელიც საბჭოთა წლებში, სრულიად იგნორირებული, მივიწყებული, იქნა, რეანიმაცია, რეაბილიტაცია, წარმოადგენს. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო.

ეს მონაკვეთი ამ რაკურსით ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაშუქებული არ ყოფილა, რადგან ის საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებული თემა იყო და მასზე არაფერი იწერებოდა, დუმილით უვლიდნენ გვერდს. ამიტომ მოსაზრება თითქოს საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერების საქმეში ძალზე მიაბიტიურად, პრიმიტიულად, გაისმის და ძირშივე მცდარია. ჩვენი აზრით, ეს იყო საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, ერთ-ერთი საინტერესო და ნაყოფიერი ხანა, როდესაც მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში ინტენსიურ ხასიათს იძენს. განსაკუთრებით მტკიცვნიულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ, ძირითადად პოლიტიკური ქარტეხილების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა და ბევრი კარგი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრეს. ეს ადვილი გასაგებია, საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს არ იყო

მათი ბრალი. ამიტომ ამის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. 1921 წლიდან ამ დარგის ისტორიის დაწყება დაგვიანებულად უნდა ჩანდეს და კორექტივების შეტანას საჭიროებს. როგორც ხედავთ, ის სულაც არ ასოცირდება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებასთან. საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია, პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამს არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ გაცილებით უფრო ადრე და თავის პიკს, ზენიტს, აღწევს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ, პოპულარიზაციამ, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, ძირითადად, ასახვა პოვა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იყო სულ ის რისი გაკეთებაც მოასწრეს. რა თქმა უნდა, ეს არ აკნინებს არც ამ მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას.

ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში ამ დარგის აკვანი დაირწა არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. აი ასეთი იყო რეალობა. ეს, ცხადია, არ აწყობდათ ბოლშევიკებს და დიდ ძალისხმევას იჩენდნენ რათა დაეკნინებინათ მისი მნიშვნელობა. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნე-

გატიური დამოკიდებულების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს. მაგრამ საბოლოოდ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და გაბითურებული აღმოჩნდნენ.

ჩვენ ვცადეთ შეგვემუშავებინა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, სრულიად განსხვავებული მიდგომა, რომელმაც, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაანაცვლოს აღნიშნული პრობლემისადმი საბჭოთა დამოკიდებულება. ეს ორი სრულიად განსხვავებული ხედვაა. ჩვენ ვცადეთ, რომ ეს მიდგომა გაგვევრცელებინა მსოფლიო ისტორიის ცალკეულ კომპონენტებზე: ძველ მსოფლიო ისტორიაზე, შუა საუკუნეებზე, ახალ ისტორიაზე. მსოფლიო ისტორიის ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე. ამან საშუალება მოგვცა ამ დარგის, კონკრეტული ეპოქის და დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი განსხვავებული მიდგომა შეგვემუშავებინა, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება საბჭოთა წარმოდგენას. მითებს რეალობა ამსხვრევს. ხატოვნად, რომ ვთქვათ ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება.

შესავალში ძალიან მოკლედ ჩამოვაცალიბეთ ძირითადი დებულებები. შემდგომში შევეცდებით მის გაშლას, მეცნიერულ არგუმენტაციას. ნაშრომი ორ მთავარ მიზანს ისახავს. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. ერთი ესაა აღნიშნულ პრობლემაზე საბჭოთა წარმოდგენის რევიზია. მეორე ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია. ამ მონაკვეთის რეაბილიტაცია. ეს ტენდენცია ლაიტმოტივად გასდევს მთელს ჩვენ გამოკვლევას. ხატოვნად, რომ ვთქვათ როგორ გავართვით თავი ამ ამოცანას ეს მკითხველმა განსაჯოს.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ რალაც უკმარისობის გრძნობა მაინც გვრჩება და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. აქ მხედველობაში გვაქვს, ის გამეორებები, რომელიც ნიგნში გვხვდება და რომლის თავიდან აცილება, როგორ ჩანს, ვერ

შევძელით. ეს, ორ გარემოებას უკავშირდება. პირველ ყოვლისა, ჩვენ გვინდოდა, რომ განსხვავებული მიდგომა კარგად გაეთავისებინა მკითხველს და რამდენჯერმე გაუსვით ხაზი. მეორეც ერთი, ამ თემაზე აპელირება მოგვიხდა ცალკეული საკითხების გაშუქების დროს. ჩვენ ვცადეთ ეს მიდგომა კონკრეტულ პრობლემატიკაზე გაგვევრცელებინა და მასზე აქცენტის გაკეთება კვლავ მოგვიხდა. შესაძლოა, ზედმეტი მოგვივიდა და მკითხველს წინაშე ბოდიში მოვიხდით.



## თავი პირველი

### მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, როგორც ამ დარგის ისტორიის წყარო

დავინწყით იმით, რომ ეს მონაკვეთი წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საზღვარზეა. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებს როგორც ამ დარგის ისტორიის საინტერესო საბუთს, წყაროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მისი განვითარების გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დავდოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო. ის როგორც ამ დარგის ისტორიის პირველწყარო დაგვეხმარება საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ და შევეცადოთ არგუმენტირებულად გავაბათილოდ მთელი რიგი საბჭოთა, ლეგენდები და მითები, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. ამ სახელმძღვანელოების, როგორც ამ დარგის განვითარების წყაროს მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. საკითხის ამ კუთხით გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველებულია, ყაველი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუ-

კარგავს. საქმე ის გახლავთ, რომ 1918-1921 წლებში დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ამ დარგის განვითარების ერთ-ერთ საინტერესო საბუთს, პირველწყაროს, წარმოადგენს. ჩვენ ვცადეთ ამ სახელმძღვანელოებისათვის, სწორედ, ამ კუთხით შეგვეხედა. აღსანიშნავია, რომ ეს თემა საგანგებო კვლევის ობიექტი დღემდე არ გამხდარა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით შეგვევსო ეს ვაკუუმი და აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გაგვემახვილებინა. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და თეთრი ლაქები ამ სფეროში უფრო ნაკლები დარჩება. ამჯერად, ამ სახელმძღვანელოებს შევეცდებით, სწორედ, ამ კუთხით შევხედოთ. ის იმ პერიოდის ისტორიული აზროვნების განსახიერებაა.

წინამდებარე ნაშრომს მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მიუხტი გააჩნია და საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხისადმი საბჭოთა მიდგომის რევიზიის მცდელობად გვევლინება. განსხვავებული მიდგომის მთავარი პოსტულატია ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ფაქტიურად, ეს მონაკვეთი ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის ისტორიიდან, თითქოსდა არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება (1. 2. 347-367. 3. 161-171).

მაშ ასე, საბჭოთა წლებში ამ სფეროში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წვლილი უგულვებელყოფილი იქნა, ხოლო იმ პერიოდში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი წარმატებები ტაბუდადებუ-

ლი თემა იყო და ის მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში, მოიხსენიებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება მეცნიერულად მცდარია და არაპატრიოტულია. ის ამ დარგის წარსულზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა.

\* \* \*

როგორც წყაროებიდან ირკვევა, 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად, ასახვა პოვა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმყამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მეტის გაკეთება, უბრალოდ ველარ მოასწრეს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის აკვანი დაირწა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ეს ამ დარგის განვითარების საქმეში ეტაპობრივი მოვლენა იყო.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მესვეურები ორი კარგი წამოწყების ინიციატორად მოგვევლინენ: ა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ სწავლებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში მოიწვიეს ამ

დარგის სპეციალისტები სიმონ ავალიანი (1881-1922) და გრიგოლ ნათაძე (1878-1951) (4. 5. 23-24). უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის პირველი ლექტორი სიმონ ავალიანი ბრძანდებოდა (2. 363. 6. 8.) ამიტომ დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოსაზრება თითქოსდა „ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ პირველად წაიკითხა მსოფლიო ისტორიის კურსი და სათანადო გზა და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას“ (7. 366). ბ. დაინყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. დასაწყისი ნამდვილად არ ჩანს ურიგო. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. მითებს რეალობა ამსხვრევს.

გამოდის, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ამ სფეროში საქმიანობა ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან, კი არ დაუნყია, არამედ გარკვეული ტრადიცია დახვდა, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის მანძილზე, ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდა.

მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება, ცხადია, პატარა საქმე არ იყო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა წარმატებას წარმოადგენდა. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც ამ დარგში მშობლიურ ენაზე, პრაქტიკულად, არაფერი იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ა. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად, დემოკრატიულ საქართველოში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში პოვა ასახვა. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციამ პუბლიცის-

ტიკის, ჟურნალისტიკის სფეროდან, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში გადაინაცვლა. ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ჩვენი აზრით, ეს სახელმძღვანელოები, პუბლიცისტიკის სფეროდან მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე გადასვლის საქმეში საშუალებდო რგოლად შეიძლება იქნას მოაზრებული. ძირითადად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტიულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ბ. მსოფლიო ისტორიის სწავლებამ, შესწავლამ პოპულარიზაციამ, საქართველოში, ეროვნული, პატრიოტული, მუხტი შეიძინა. პირველად შეიქმნა პრეცედენტი მსოფლიო ისტორიის ქართულ ენაზე სწავლების. ეს, ცხადია, ხუმრობა საქმე არ იყო. ეს სახელმძღვანელოები სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. ცარიზმის დროს არსებული მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, ეს, უთუოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მსოფლიო ისტორიის სწავლების დროს სკოლაში სწორი გზით მიდიოდნენ, სწორი ვექტორი ჰქონდათ დასახული.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მესვეურებმა ამ სფეროში თავისი საქმიანობა სკოლიდან დაიწყეს. პირველ ყოვლისა, მათ აქცენტი გააკეთეს სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლებაზე. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, მათ სურთ მტკიცე ბალავარი ჩაუყარონ ამ დარგის განვითარებას. ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს. სახლის შენება სახურავიდან კი არ დაიწყეს, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, არამედ თავის საქმიანობას საძირკველიდან შეუდგნენ. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამგვარი მიდ-

გომა, ცხადია, შემთხვევით არ იყო და, უმთავრესად, მისი პრაქტიკული, პრაგმატული, მნიშვნელობით გახლდა განპირობებული. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება სასკოლო სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. მსოფლიო ისტორიის სწავლება სკოლაში ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა ნორმალური სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. ეს სუვერენული საქართველოს მესვეურთ, ვფიქრობთ, ძალიან კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული.

ეს სახელმძღვანელოებია: მივყვეთ თანამიმდევრობით. დავიწყოთ ქრონოლოგიური პრინციპით:

დ. უზნაძე, „პირველყოფილი კულტურის ისტორია“. დ. უზნაძე, „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“. გრ. ნათაძე, „პირველყოფილი კულტურა“. თ. ჭუმბურიძე პირველყოფილი კულტურა, პირველი კლასის კურსი. გადმოკეთებული დ.კუდრიავესკის წიგნიდან. (დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ფრთხილი ვარაუდი, თითქოსდა „გრ. ნათაძის წიგნი „პირველყოფილი კულტურა“ იყო „პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ამ დარგში განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასებისათვის“ (7. 372). ეტყობა, ღვანლმოსილ მეცნიერს უნებლიეთ გამოორჩა დიმიტრი უზნაძის და თეიმურაზ ჭუმბურიძის სასკოლო სახელმძღვანელოები „პირველყოფილი კულტურა“, რომელიც ცოტა ადრე გამოვიდა).

დ. უზნაძე, „ძველი ისტორია“, წიგნი პირველი. (ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი). დ. უზნაძე, „ძველი ისტორია“, წიგნი მეორე (ძველი რომი), ალ. წერეთელი, „მსოფლიო ისტორია“, წიგნი პირველი, „ძველი ისტორია“.

ვ. დონდუა, „საშუალო საუკუნეთა ისტორია“, ივ. გველესიანი, „საშუალო საუკუნეების ისტორია“, ალ. წერეთელი, „მსოფლიო ისტორია“, ნაწილი მეორე. „საშუალო საუკუნეები“. ალ. ვულფიუსი, „საშუალო საუკუნეების სახელმძღვანელო“.

ს. ავალიანი, „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“. ორ ნაწილად. (ისტორიკოსი ლალი ფირცხალავა სიმონ ავალიანის ამ ორ სახელმძღვანელოს დუმილით უვლის გვერდს, რაც სწორი არ უნდა იყოს და ამ სფეროში სიმონ ავალიანის მიერ შეტანილ წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის (6. 9.) დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, „ახალი ისტორია“ ორ ნაწილად. თ. ჭუმბურიძე, „ახალი ისტორია“. ალ. წერეთელი, „მსოფლიო ისტორია“, ნაწილი 3. ახალი სუკუნეები. ალ. ვულფიუსი, „ახალი ისტორია“, ნაწილი პირველი, ე. ლავისი, „ახალი ისტორია“, ცოტათი განცალკევებით დგას. პროფ. გრ. ნათაძის წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია“, რომელიც, პირობით, ამ საგანში სახელმძღვანელოს დაწერის პირველ მცდელობად შეიძლება იქნას მოაზრებული. ის ერთ კონკრეტულ ქვეყანას ეხება და არა მთელ რეგიონს.

სახელმძღვანელოების ასეთი ბუმი, არ უნდა გაგვიკვირდეს და დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში ამ სფეროში არსებულ ქაოსზე კი არ მეტყველებს, როგორც ეს ზოგიერთ თანამედროვეებს ეგონათ (8), არამედ ამ პერიოდში არსებული კონკურენტუნარიანი გარემოს გამოძახილია. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მცდელობა. ამ სფეროში მათი საქმიანობის კიდევ ერთი პლუსია.

დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. საკითხს უნდა შევხედოთ რეტროსპექტივაში. რამდენად შეესატყვისებოდა ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართულ რეალობას? ეს მიამიტური, მარტივი, მსჯელობა ქართულ საზო-

გადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვლიანებდა და მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. ეს იყო, სწორედ, მთავარი. ის ამართლებს თავის თავს. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა უმართებულო იქნება. დასაწყისი ურიგო არ იყო. ეტყობა, ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, რომელზე მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. მათ სცადეს მტკიცე საძირკველი ჩაეყარათ ამ დარგის შენებისათვის. ეს მათი წარმატება იყო. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამას მოყვებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და საკვლევე ლიტერატურა. დიდი ალბათობით ეს იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ საქმემ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, სხვა მიმართულება მიიღო, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. როგორც პირველი მცდელობა, ეს სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა. ეს იყო ნორმალური პროცესი (9).

მოუსმინოთ დიმიტრი უზნაძეს. აი რას წერდა იგი. „არც ჩვენი ნაშრომია დადინჯებული და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და, უდროვოდ, მომწიფებული აღმოჩნდეს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ ნაშრომის პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება და ამ დროისათვის პრაქტიკის და სხვა



პედაგოგთა დახმარების წყალობით, ჩემი ნაშრომი უფრო მომნიშვნელო ნაშრომის სახეს მიიღებს“ (10). კიდევ ერთი ადგილი დ. უზნაძის სახელმძღვანელოდან. „ამ მოთხოვნებიდან მიხედვით მისი ღირსებებიც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ... წაგვართვა საშუალება საკაბინეტო მუშაობისა და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვასწარით — თუ საჭირო შეიქმნა, მესამე გამოცემისთვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრივ წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვანვდით საზოგადოებას — რისი დამზადებაც მოვასწარით“ (11). ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას: ჯერ ერთი კარგად ჩანს თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ისინი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობას. მეორე, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ ამ საშური საქმის კეთება ამგვარი თვითკრიტიკული დამოკიდებულება მისასაღმებელი უნდა იყოს და ამ კარგი საქმის წარმატებით დაგვირგვინების საიმედო გარანტიად გვევლინება. სამწუხაროდ, ეს ასე ვერ მოხდა (9. 229-230. 12).

დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ძალიან დიდ და სერიოზულ საქმეს შეეჭიდნენ. პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ემატებოდა კიდევ ერთი სირთულე, რომლის გვერდის ავლა ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს, რომ მათ ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ და ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან, ნულიდან, უნდა დაეწყათ. ეს იყო, სწორედ, მთავარი სირთულე. რა გამოსავალი მოძებნეს მათ ამ რთული სიტუაციიდან? რა გზით უნდა წავიდნენ? მათ რამდენიმე გამოსავალი ჰქონდათ. ისინი კარგად იცნობიერებდნენ, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთ-

ში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნა ძალიან გაძნელებოდა. ეს სწორი მიდგომა იყო. მათ, როგორც გვგონია, შეძლეს სწორი გამოსავალი მოენახათ და აქცენტი გააკეთეს რუსული სახელმძღვანელოების პირდაპირ თარგმნაზე ან გადმოქართულებაზე. ისინი ცდილობდნენ, რომ ეს სახელმძღვანელოები მიესადაგებინათ ქართული რეალობისთვის. ჩვენი აზრით, ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს, ამ საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილს. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ისინი თავის თავს სახელმძღვანელოების შემდგენლებად უფრო მოიაზრებდნენ და არა ავტორებად. ეს იყო სწორი ნაბიჯი. სხვა გამოსავალი არ არსებობდა. კოლაფსს თავიდან ვერ ავიცილებდით.

მრავლისმეტყველად მიგვაჩნია, რომ უმთავრესად, ეს იყო პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან დაწერილი სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლის ავტორები იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები პროფ. პავლე ვინოგრადოვი, პროფ. ნიკოლოზ კარეევი, პროფ. რობერტ ვიპერი და სხვები. იმ მონარქისტულ, შავრაზმულ-კლერიკალური, სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია საქართველოში ცარიზმის დროს, ეს, უდავოდ, პროგრესი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს, იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდის ისტორიულ მეცნიერებაში. ამიტომ ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია, რომელსაც, ჩვენი აზრით ღირსეულები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი.

როგორც ხედავთ, 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკამ მაინც მოასწრო თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის, შესწავლის საქმეში და მან უპირატესად, ასახვა პოვა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც მსოფლიო ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, ქართულ ენაზე, თითქმის არაფერი იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. რაც მოასწრეს ის გააკეთეს. ეს სახელმძღვანელოები, ჩვენი აზრით, სწორ გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება იქნას აღქმული. რას ვიზამთ. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური ძვრების კონტურები მაინც მოჩანს და ამის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამ სიახლეების მნიშვნელობის გაზვიადება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. საქმე გვაქვს მხოლოდ მის წანამძღვრებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. მათი კვალი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ მონაკვეთის პლუსია. ვფიქრობთ, მკაფიოდ იკვეთება საქართველოში მსოფლიო ისტორიის სერიოზული შესწავლის წინაპირობა... მთავარი კი, როგორც გვგონია, ისაა, რომ ამ საკითხში ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა. მეცნიერული კურსი ჰქონდა დასახული. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ მისი ელიმინირები, ამოღება, ამ დარგის ისტორიიდან, როგორც ეს ჩაიღინეს ბოლშევიკებმა, ყოვლად გაუმართლებელი იყო, ანტიეროვნულია და არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა.

მას ასე, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სერიოზული სწავლების, შესწავ-

ლის პოპულარიზაციის, აკვანი სწორედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაირწა. ეს, ცხადია, ეკალივით ესობოდათ თვალში ბოლშევიკებს და მოსვენებას უკარგავდა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ამოეშანათ ეს ფაქტი ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამოდ დაშვრნენ, სრული ფიასკო განიცადეს. „სამართალ-მა პური ჭამა“, „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. მითებს რეალობა ამსხვრევს. ფიგურალური გამოთქმა, რომ გამოვიყენოთ ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება.

\* \* \*

საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღ-ვანელოების სახით საქმე გვაქვს ამ დარგის ისტორიის საინტე-ერესო წყაროსთან, რომელიც საშუალებას გვაძლევს სერიოზული დასკვნები გავაკეთოთ და ამ სფეროს განვითარების განსხვავე-ბული სურათი დავდოთ. სულ სხვა აქცენტები დავსვათ, რომე-ლიც შესაძლებელს გახდის მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაბათილოდ მთელი რიგი საბჭოთა სტერეოტიპები და შტამპე-ბი, რომელმაც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხ-მევით, მყარად გაიდგა ფესვები ფართო საზოგადოების ცნობი-ერებაში.

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. როგორც ირკვე-ვა, ამ დარგის ისტორია საქართველოს გასაბჭოებით კი არ იწყება, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია. გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში ამ დაინტერესების მწვერვალად, კულმინა-ციად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბ-ლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები მიგვაჩნია. დაინყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკო-ლო სახელმძღვანელოებზე, აი ეს გახლავთ რეალობა, რო-

მელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძლისხმევით, ფართო საზოგადოებას ნაკლებად ჰქონდა გათვითცნობიერებული. ასე გვესახება საქართველოში ამ დარგის წარსული, მისი განვითარების საკვანძო მომენტები. (13.14.15.16.17.18).

ჩვენი აზრით, ეს გახლავთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო და ნაყოფიერი მონაკვეთი, როდესაც მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში ინტენსიურ ხასიათს იძენს და ცდილობს ლაღად გაშალოს ფრთები, მეცნიერული ელფერი შეიძინოს. იქმნება ამ დარგის განვითარების წინაპირობა 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ამ გზებზე გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთზე უნდა ვიმსჯელოთ არა იმის მიხედვით რისი გაკეთებაც ჩაფიქრებული ჰქონდათ, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, უპირატესად, პოლიტიკური ქართვეილების გამო, გაუჭირდათ, ველარ მოახერხეს. ეს, ვფიქრობთ, უფრო სამართლიანი იქნებოდა. ეს არცაა გასაკვირი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. თუ არა საქართველოს გასაბჭოება, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ეს გზა გაგრძელდებოდა და ის სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. სულ სხვაგვარ, ჩვენი აზრით, გაცილებით, უფრო საინტერესო სურათს მივიღებდით. ამის პერსპექტივა და პოტენციული ნამდვილად არსებობდა.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ეს კარგი საქმე, ძირითადად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი და დასაწყისშივე შეწყდა. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციიდან და მეცნიერული კვლევაზე გადასვლა, მათ უბრალოდ ვეღარ მოასწრეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სულ სხვა ხასიათი მიიღო და სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ის მოექცა პოზიტივისტური და ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ყალიბში და ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ამ ჩარჩოებს ვერ გაცდა. რბილად რომ ვთქვათ, ძალზე გულუბრყვილოდ, მიამიტურად, გაისმის მოსაზრება თითქოს საბჭოთა ისტორიოგრაფია არ განიცდიდა სახელმწიფოს მხრიდან ზენოლას.

ჩვენი ღრმა რწმენით, XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიაღწია ევროპული, პოზიტივისტური, ისტორიოგრაფიის დონეს, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, ვფიქრობთ, ამის კარგი მაგალითია. მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული გზიდან. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ფეხი ვეღარ აუწყო, ჩამორჩა, იმ სიახლეებსა და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ის ვერ გაცდა პოზიტივისტური და ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება განიცადა. საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე და ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს პოზიტივისტური და ვინროდოგმატურად გაგებულ მარ-

ქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შერწყმასთან, შეხამებასთან. (19 8-22). თუ ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას განაპირობებდა ის სიახლეები და ნოვაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში, საბჭოთა ისტორიოგრაფიის ისტორია, უპირატესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდება. ამიტომ პირველ შემთხვევაში პროგრესი იყო რეალური, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი აპოლოგეტური შეფასება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. მეორე შემთხვევაში მას ილუზორული ხასიათი გააჩნდა და, უპირატესად, სახელმწიფოს მიერ იყო გაპიარებული. სახელმწიფო აქტიურად ერევა მეცნიერების საქმიანობაში და ცდილობს მეცნიერს ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. ევროპულ და ქართულ ისტორიოგრაფიას შორის არსებული პრინციპული განსხვავების გასაღები, სწორედ, აქ ძვეს (19. 13). ამიტომ, ჩვენი აზრით, ჩამორჩენა უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათისაა და არა აკადემიური.

როგორც ვხედავთ, ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, რაც აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს არცაა გასაკვირი. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. აი ასეთი იყო რეალობა, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინდა სამართლიანობა. ამ მონაკვეთს დავუბრუნეთ არსებობის უფლება და საქართველოში ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სრულიად შეუსწავლელ პრობლემასთან „მსოფლიო ისტორიის შესწავლა 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართ-

ველოს რესპუბლიკაში“. როგორც უკვე ითქვა, ამ საქმეში ჩვენი მთავარი წყარო არის 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები.



## ლიტერატურა

1. ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში, თბ., 1978. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი ტაბუდადებულ თემად გვევლინება. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. არჩევანი არ არსებობდა.
2. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
3. ი. ტაბაღუა, ვ. ჩოჩია, მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ნაკვეთი 3. თბ., 1983.
4. გრ. ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი – პირადი საქმე, ფონდი 1. ანაწერი 1. შესანახი ერთეული 1426. ნუსხა 293.
5. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
6. ლ. ფირცხალავა, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998.
7. ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959.

8. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1935. აღწერა 1. საქმე 875.
9. მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, 13. 2017.
10. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, 1917.
11. დ. უზნაძე, პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბილისი, 1922.
12. დ. ჭუმბურიძე, განათლება, 1918-1921 წლები, თბ., 2000.
13. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
14. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
15. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
16. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
17. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
18. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №1-2, 2016.
19. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019

## თავი მეორე

### ერთი საბჭოთა მითი

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია მკაფიოდ, გამჭვირვალედ, ჩამოაყალიბოს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის პრობლემის განსხვავებული ხედვა. აღნიშნულ საკითხზე ჩვენს მსჯელობას მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გაჩნია და, უწინარესად, ითვალისწინებს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გააბათილოს აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვიკვლევთ მსოფლიო ისტორიის ცალკეული დარგების: ძველი მსოფლიო ისტორიის, შუა საუკუნეების და ახალი დროის ისტორიის, შესწავლა საქართველოში. მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების შესწავლა საქართველოში. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს პრობლემა კომპლექსურად ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა. ჩვენ ვცადეთ შეგვესო ეს ხარვეზი და აღნიშნული საკითხი საგანგებოდ შეგვესწავლა. ეს სიახლეა. ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ თემის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. როგორც პროფ. ბორის პორშნევის უყვარდა თქმა, ეს არის „ქალწულებრივი თემა“.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არ დაწყებულა. ეს მთავარი საბჭოთა მითია. საქართველოს გასაბჭოებამდე არსე-

ბობდა მსოფლიო ისტორიის შეისწავლის პოპულარიზაციის, საინტერესო ტრადიცია, რომლის კულმინაციად, აპოგეად, როგორც უკვე ითქვა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, მიგვაჩნია ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სრულიად ახალ და საინტერესო პრობლემასთან. ეს გახლავთ „მსოფლიო ისტორიის შესწავლა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ ეს არის სრულიად შეუსწავლელი თემა. ეს არცაა გასაკვირი. მისი მიზეზი ამკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს საკითხი, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ტაბუდადებულ თემას წარმოდგენდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. საბჭოთა ეპოქაში ამ მონაკვეთზე იწერებოდა ან მხოლოდ ძალიან ცუდი ან არაფერი. ეს სახელმძღვანელოებიც თანდათან მივიწყებას მიეცა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება (1, 2, 347-374. 3. 161-171).

დავინწყით იმით, რომ აღნიშნული პრობლემისადმი საბჭოთა მიდგომა მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისით წერილობით ჩამოყალიბებული არსად არ ყოფილა, მაგრამ არსებობდა ამ საკითხზე წარმოდგენის სახით. ფაქტობრივად, ეს გახლავთ პრობლემის საბჭოთა ვერსია, რომელსაც საბჭოთა პერიოდში გვასწავლიდნენ უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, სწორედ, ეს წარმოდგენა აყალიბებს. ჩვენც, სწორედ, ამ რაკურსით განვიხილავთ მას.

ამ საკითხს ჩვენ შევხებით ორ ნაშრომში (4, 5). ამჯერად ეს შეხედულებები კიდევ უფრო დავაკონკრეტეთ, დავაზუსტეთ, დავხვეწეთ, სრულვყავით. კომპაქტურად დავალაგეთ. ერთ ადგილას მოვუყარეთ თავი. ამ თემას ცოტა სხვა რაკურსით შეეხება ისტორიკოს დოდო ჭუმბურიძის საინტერესო წიგნი „განათლება. 1918-1921 წლები“ (6.), როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ის საერთოდ შეეხება განათლებას 1918-1921 წლებში. ჩვენთვის

საინტერესო თემა ამ დიდი პრობლემის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს.

დიდი ხნის განმავლობაში ეს თემა, უმთავრესად, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, განიხილებოდა ძალზე ცალმხრივად, უაღრესად სუბიექტურად და ტენდენციურად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი დამოკიდებულება ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ძირშივე მცდარია. ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო, რაც ყველაზე მთავარია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, ეს თემა წარმოადგენდა პოლიტიკური განსჯის საგანს. რა თქმა უნდა, ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევითი არ იყო და ბოლშევიკების კოსმოპოლიტიზმის ექოდ გაისმა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული პრობლემის განხილვა მეცნიერული განსჯის საგანი გაგვეხადა. აკადემიური სფეროსთვის დაგვებრუნებინა.

საბჭოთა მიდგომის მთავარ თეზად წინამორბედების წვლილისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გვევლინება. ისტორიული ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, რომ ამ დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე ფაქტობრივად, არაფერი კეთდებოდა. ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებლობის კულმინაციად 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის წვლილის სრული უგულვებლყოფა, იგნორირება, მოიაზრებოდა. ამაში ალოგიკურს ვერაფერს ვხედავთ. წინამორბედების წვლილის გაბიაბრუების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება. მაშ ასე, ამ საკითხისადმი ხისტია დამოკიდებულება, კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. სულ სხვა აქცენტები დავსვით. ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ. ჩვენ ვცადეთ სამართლიანობა აღგვედგინა. ეს იმით გამოიხატა, რომ მსოფლიო ისტორიის მეცნიერული გაშუქების საქმეში, პრიორიტეტულად დავსახეთ, არა საქართველოს გასაბჭოება, არამედ 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და იმავე 1918 წლის

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. საქმე გვაქვს ტრადიციული საბჭოთა თვალსაზრისის რევიზიის მცდელობასთან, რაც ლაიტმოტივად გასდევს მთელ ნაშრომს. ამ მონაკვეთმა საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხების დამუშავების საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა და, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, სუსტი, მკრთალი, კვალი მანაც დატოვა. ეს იმით გამოიხატება, რომ მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს. ეს არ იყო პატარა საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. აქ სკეპტიკური დამოკიდებულება უადგილოა. ფიქსირდება ამ დარგის განვითარების პირველი ნაბიჯები. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ამ მონაკვეთის გვერდის ავლა უხერხული იქნებოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკებს ეს გრძნობა არ გააჩნდათ, ატროფირებული ჰქონდათ.

მაშ ასე, იკვეთება ამ დარგის მეცნიერული შესწავლის მცდელობის კონტურები. წანამძღვრებები, სიმპტომები, პირველი ნიშნები, ყალიბდება მისი შემდგომი განვითარების წინაპირობა, რომელიც, უპირატესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახება. ეს ადვილი გასაგებიცაა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. ეს მათი ბრალი არ იყო. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეს დარგი პირველ ნაბიჯებს დგამს, სიარულს იწყებს. ფეხზე დადგომას ცდილობს, აი ეს იყო რეალობა, რომელიც ბოლშევიკებს რატომღაც არ მოწონდათ და მას უმთავრესად, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, უარყოფითად ეკიდებიან.

\*\*\*

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მისი ცალკეული დარგების: ძველი მსოფლიო ისტორიის, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის, მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების (შემდგომში მსოფლიო ისტორიას, სწორედ, ამ კონტექსტში მოვიაზრებთ). ამ საინტერესო მონაკვეთისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების შორეული ექო დღესაც გაისმის. ის მკვეთრად გამოკვეთილ აკადემიურ ხასიათს ატარებს და პრინციპულად განსხვავდება საბჭოთა თვალსაზრისისაგან, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ საკითხისადმი ხისტი დამოკიდებულება, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა წლებში, ჩაანაცვლა ზომიერთმა, თავშეკავებულმა, განწყობამ. ასეთი სკეფსისი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, იმით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული, რომ აღნიშნულმა მონაკვეთმა, უმთავრესად, მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში პოვა გამოძახილი. მეტის გაკეთება, ჩვენთვის კარგად ცნობილი მიზეზთა გამო, უბრალოდ ვერ მოასწრეს, სკოლის სახელმძღვანელოების მეცნიერული დატვირთვის, პოტენციალის შეუფასებლობა, უნდობლობა, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნებოდა და, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მათ მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ჩვენი აზრით, ის რომ ეს მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებია, არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს ამ პერიოდის მნიშვნელობას.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ მონაკვეთმა აღნიშნული დარგის განვითარების საქმეში, იმაზე გაცილებით უფრო მკრთალი, სუსტი, კვალი დატოვა, ვიდრე სინამდვილეში ხელენიფებოდა. ის, ჩვენი აზრით, უფრო განუხორციელებელ ჩანაფიქრთან უნდა ასოცირდებოდეს. ეს თითქოსდა ძალიან ცოტა და ამგვარი პესიმიზმს გააჩნია თავისი რეზონი, აზრი, მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე არ უნდა იყოს, ამის გამო ამ სახელმძღვანელოებისადმი გულგრილი დამოკიდებულება დამაჯერებელი ვერ იქნებოდა და კორექტივების შეტანას მოითხოვს. მთვარია რა კრიტიკურიუმით მიუდგებით ამ საკითხს, რაოდენობრივად ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და ამაში სკეპტიკოსებს უნდა დავეთანხმოთ, მაგრამ თვისებრივად, ხარისხობრივად, ამას ვერ ვიტყვით. რა თქმა, უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ქართულ სინამდვილეში პირველად შეიქმნა მსოფლიო ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს იმჟამინდელი ქართული სინამდვილის ფონზე, უეჭველად, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ქართულ რეალობაში ამ დარგში არსებული ვაკუუმის შევსების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია და მის წარმატებად მიგვაჩნია (7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26).

უნინარესად, საჭიროა სწორი კრიტიკურიუმის შერჩევა. ამას აქვს მნიშვნელობა და ამ სახელმძღვანელოებზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმარება. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტიკურიუმი საზომად არ გამოდგება. ამგვარ მაღალ მიზნებს ისინი არ ისახავდნენ. მათ წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. მათ მოსწავლეებს მოკლედ, ლაკონურად, უნდა გააცნონ მსოფლიო ისტორიის ღირსშესანიშნავი მოვლენები. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს იყო მთავარი. ეს მათი წარმატება იყო. დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი



არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ის ამართლებს თავის დანიშნულებას. ამ სახელმძღვანელოებმა თავისი მისია შეასრულეს. ეს მარტივი, მიამიტური, მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, მსოფლიო ისტორიის აქტუალურ საკითხებზე კარგად დააკვალიანებს და ზოგადი წარმოდგენის ჩამოუყალიბებაში დაეხმარებოდა. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის გამოძახილია. აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უმთავრესად, ორ გარემოებასთან უნდა ასოცირდებოდეს. პირველ ყოვლისა, ის, 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს ლოგიკური შედეგია და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. ეს, რა თქმა უნდა, არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ სახელმძღვანელოების და საერთოდ ამ მონაკვეთის მნიშვნელობას. ეს იმ რთული, ექსტრემალური, სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი უნდა ჩანდეს.

ამ სახელმძღვანელოების აპოლოგეტური შეფასება ან შეუფასებლობა, ალბათ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. სასურველი იქნებოდა უფრო დაბალანსებული მიდგომა. უნდა ვეცადოთ გა-

მოვნახოთ საშუალებო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. წინამდებარე ნაშრომი ამის ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება.

პირველი ნაბიჯები სწორედ გადადგეს, კარგად გათვალეს. დასაწყისი ნამდვილად ურიგო არ იყო. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია და ამის წაყრუება სწორი არ უნდა იყოს. დარგის შენება საძირკვლიდან დაიწყო. პირველ ყოვლისა, ყურადღება სკოლას მიაპყრეს. ეს არცაა გასაკვირი. სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლება ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა ნორმალური სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის გარეშე. 1918-1921 წლებში საქართველოში სახელმძღვანელოების ბუმი მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. სახელმძღვანელოების ასეთი ბუმი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, უწინარესად, მათი პრაქტიკული, პრაგმატული, მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. სახელმძღვანელოების სიმრავლემ არ უნდა დაგვაფრთხოს და ამ სფეროში არსებულ ქაოსზე და დაბნეულობაზე კი არ უნდა მეტყველებდეს, როგორც ამის ემინოდა ზოგიერთ თანამედროვეს, არამედ ის მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს ოპტიმალური ვარიანტის მოძიების მცდელობასთან უფრო მეტად უნდა ასოცირდებოდეს (27).

მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი დასრულებულად არ მიგვაჩნია. უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, სახელმძღვანელოებზე დაწყებული მუშაობის ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრეს. მიმდინარეობდა ამ სახელმძღვანელოების შემდგომი სრულყოფა, დახვეწა. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის პირველი

ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესთან.

ეს საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა. საქართველოში მსოფლიო ისტორიის სკოლაში, ნორმალურად სწავლების პირველ მოკრძალებულ მცდელობას ადგილი აქვს არა საბჭოთა საქართველოში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აი ასეთი იყო რეალობა, რომელიც, უმთავრესად, საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ამ სახელმძღვანელოებმა საშუალება მისცა ქართული სკოლის მესვეურთ თავიდან აეცილებინათ ამ დარგში მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობაც არსებობდა. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობის შეუფასებლობა, ცხადია, არ ივარგებს. ამგვარი დამოკიდებულება საბჭოთა წარმოდგენის წისქვილზე ასხამს წყალს.

დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, უკვე მოძველებულია, მაგრამ არის ერთი საინტერესო საკითხი, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სახელმძღვანელოები საქართველოში ამ დარგის განვითარების საბუთს, წყაროს, წარმოადგენს. ჩვენ ვცადეთ ამ სახელმძღვანელოებისთვის, სწორედ, ამ კუთხით შეგვეხედა და მასზე როგორც წყაროზე დაყრდნობით, შევეცადეთ შეგვეშუშავებინა ამ დარგის განვითარებისადმი განსხვავებული მიდგომა. სულ სხვა სურათი დავდეთ.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ეს კარგად დაწყებული საქმე, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, პირველ ნაბიჯებს არ გასცილებია, ბოლომდე მიყვანილი არ ყოფილა, ნაადრევად დასრულდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ამ მონაკვეთმა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში მეტად მოკრძალებუ-

ლული წვლილი შეიტანა და სუსტი, მკრთალი, კვალი დატოვა და, უმთავრესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ჰპოვა ასახვა. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, მათ უბრალოდ მეტის გაკეთება ველარ მოახერხეს. რისი გაკეთებაც მოახერხეს გააკეთეს. დაიწყეს მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს იყო რაც გააკეთეს. ეს მათი ბრალი არ იყო. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს მკრთალი, სუსტი, კვალი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და მისი ელიმინირება, ამოღება, ამ დარგის განვითარებიდან, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, დაუშვებელი უნდა იყოს.

მკვეთრი მეტამორფოზი ხდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ამ დარგის განვითარებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, სულ სხვა მიმართულება მიიღო, სულ სხვა პრიორიტეტები დასახა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიკაცია. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნამ უწინდელი აქტუალობა დაკარგა.

თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები. დიდი ალბათობით, დაწყებული საქმე გაგრძელდებოდა და ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართა. ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. საფიქრელია, რომ ეს მათი განზრახვის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა, რომლის განხორციელება მოასწრეს. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე.

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში, რამაც განაპირობა ამ მონაკვეთის მნიშვნელობა. მის დადებით მხარედ გვევლინება.

ა) უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოებმა საშუალება მისცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთ, პირველ რიგში კი – ქართულ სკოლას, თავიდან აეცილებინა ამ სფეროში მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობა არსებობდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ სახელმძღვანელოებმა თავისი მისია პირნათლად შეასრულა. გადაიდგა პირველი ნაბიჯი ქართულ სკოლაში მსოფლიო ისტორიის მშობლიურ ენაზე სწავლების გზაზე. მანამდე, ცარიზმის დროს, ეს საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა (1). რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და აქ ყოველგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილო იქნებოდა. ქართულ სკოლაში საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის ქართულ ენაზე სწავლებას. როგორც აღვნიშნეთ, საქმე გვაქვს ქართულ სკოლაში მსოფლიოს ისტორიის სერიოზული სწავლების პირველ მცდელობასთან.

ბ) როგორც ჩანს, ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიის თემატიკის გაშუქების დროს სწორი გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა, სწორ არჩევანს აკეთებდა. პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალგვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

გ) ამ ახალ სასკოლო სახელმძღვანელოებს შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალთანებდა და მსოფლიო ისტორიის კარდინალურ პრობლემებზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს იყო, სწორედ, მთავარი. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია.

სახელმძღვანელოებს წმინდა შემეცნებით დატვირთვასთან ერთად მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ აღწერა, თხრობა, გადმოცემა, შეიცავს შეფასებასაც. ეს მას ისტორიოგრაფიულ ხასიათს ანიჭებს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მას გააჩნია წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის საქართველოს ისტორიული აზროვნების განსახიერებად, წყაროდ, გვევლინება. ჩვენ ამ სახელმძღვანელოებს, სწორედ, ამ განსხვავებული რაკურსით შევხედეთ. ის წარმოადგენს ამ დარგის განვითარების საინტერესო საბუთს, წყაროს. განსხვავებული მიდგომა, სწორედ, ამ სახელმძღვანელოებს, როგორც ამ დარგის განვითარების წყაროს ემყარება.

დ) ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს და არ აკნინებს ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ეს ამ სახელმძღვანელოების კიდევ ერთი პლუსია. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ქართულ სინამდვილეში მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ეს იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ეს სახელმძღვანელოების კიდევ ერთი დადებითი მხარეა. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს იმ ნოვაციებს და სიახლეებს, რომელმაც თავი იჩინა XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ, პირველ რიგში, კი რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში.

ე) ეს სახელმძღვანელოები არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას. ეს არ გახლავთ ფაქტების უბრალო გროვა. ასეთი სახელმძღვანელოები საინტერესო არ იქნებოდა. ემპირული,

ფაქტობრივი, მასალის ცოდნასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ასე ჩნდება მათი მსჯელობაში შეფასებითი მუხტი. ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება მსოფლიო ისტორიის ცენტრალური მოვლენებისადმი. ეს მათ მსჯელობა ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ძენს. ფაქტების ცოდნა შესამებუღია ისტორიული მოვლენების, მეცნიერული შეფასების მცდელობასთან, რაც ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

**ვ)** გადაიდგა პირველი ნაბიჯი ამ დარგის ტერმინოლოგიის შემუშავების გზაზე. საქმე გვაქვს კიდევ ერთ საინტერესო სიახლესთან. გამოდის, რომ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ უფრო ადრე 1918-1921 წლებში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კიდევ ერთი ბოლშევიკური მითი გაბათილდა.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს ასეთი საინტერესო სურათი მივიღეთ. ასეთ ისტორიოგრაფიულ წარმოდგენას ჩაეყარა საძირკველი. ამ სახელმძღვანელოებისადმი მიდგომამ საინტერესო ევოლუცია განიცადა. ის აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს იყო რეალობა, რომელიც კარგი ცხოვრებით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. მას საფუძვლად ედო პოლიტიკური კატაკლიზმები. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს სახელმძღვანელოები პოლიტიკური განსჯის საგანი გახლდათ და არა აკადემიური მსჯელობის. ამ სახელმძღვანელოებისადმი მიდგომა აღნიშნული მონაკვეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ლოგიკური გაგრძელება გახლავთ. ეს სახეცვლილება პირობით სამ ფაზად შეიძლება დაიყოს. არსებითად, საქმე გვაქვს სამ მთავარ მიდგომასთან, წარმოდგენასთან.

**ა.** ყველაზე უფრო მიუღებლად საბჭოთა მიდგომა გვესახება. ამ სახელმძღვანელოებისადმი დამოკიდებულება მეტად ხისტად მიგვაჩნია. ის მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. როგორც

უკვე დასაწყისში აღვნიშნეთ, ამ სახელმძღვანელოებისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება იყო უაღრესად სუბიექტური და ტენდენციურია. არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია, ძირშივე მცდარია. ის ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. და რაც, არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიეროვნულია და არაპატრიოტულია ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ფაქტობრივად, ეს სახელმძღვანელოები ელიმინირებული, ამოღებული, აღმოჩნდა ამ დარგის განვითარებიდან. თითქოს არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს არის საბჭოთა წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოძახილი. ის ლაიტმოტივად გასდევს მთელს საბჭოთა ეპოქას. დღეს საბჭოთა წარმოდგენა უკვე მოძველებულია, ყავლი გაუფიდა, გაკოტრდა. ისტორიული რეტროს სურნელი დაკრავს. ამ მონაკვეთების დისკრედიტიზაცია ამ სახელმძღვანელოებისადმი დამოკიდებულების ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენს.

**ბ.** პოსტსაბჭოთა ხანაში ტონი ცოტათი შერბილებულია. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ ამ სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილს, რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამ სახელმძღვანელოებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაძლეული, რაც ამგვარი დამოკიდებულების აქილევსის ქუსლად მიგვანჩნია.

**გ.** იკვეთება მესამე განსხვავებული, პოზიტიური, დამოკიდებულება. აქცენტი კეთდება ამ სახელმძღვანელოების დადებით შეფასებაზე. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამ სახელმძღვანელოებისადმი ხისტი დამოკიდებულება აპოლოგეტური მიდგომით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ამ სახელმძღვანელოებს, როგორც გვგონია, ღირსებები გაცილებით უფრო მეტი უნდა გააჩნდეს, ვიდრე ნაკლი. როგორც პირველი მცდელობა ის,



ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა ამ სახელმძღვანელოების შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ეს პროცესი, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ჩვენი აზრით, დასრულებულად ძნელია მივიჩნიოთ.

\*\*\*

ამრიგად, როგორც ირკვევა, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსოფლიო ისტორიის სწავლებას, შესწავლას, პოპულარიზაციას, ყურადღება ექცეოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მთავარი, სწორედ, აი უნდა იყოს. ვფიქრობთ, არაფერს გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ ხანებში განხორციელებული პირველი ღონისძიება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. დაიწყო მუშაობა, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. აი ეს იყო რეალობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ეს იყო მორიგი ბოლშევიკური მითი.

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ, პოპულარიზაციამ, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში პოვა ასახვა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის წაყრუება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს იმდროინდელი ქართული

რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენს წარმოადგენს და საქართველოს რესპუბლიკის წარმატებად მიგვაჩნია. ეს სახელმძღვანელოები ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დარგში არსებული ვაკუუმის შევსების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება, რაც განსაზღვრავს მის მნიშვნელობას. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ წარმატებად მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მიგვაჩნია.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მსოფლიო ისტორიის მეცნიერული გაშუქება პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს, სწორედ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დგამს. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს იყო სულ ის რისი გაკეთებაც მოასწრეს. ეს გახლდათ რეალობა, რომელსაც საბჭოთა პერიოდში საგულდაგულოდ უვლიდნენ გვერდს. აი, სწორედ, ეს გახლდათ მათი მთავარი პრობლემა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება.

## ლიტერატურა:

1. ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში, თბ., 1978. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ის, სწორედ, ამ საკითხის ზღურბლზე ჩერდება და შემდგომ ხანას არ ეხება, რადგან ეს მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.
2. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
3. ი. ტაბალუა, ვ. ჩოჩია, მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ნაკვეთი 3. თბ., 1983.
4. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №2. 2016.
5. მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, 13. თბ., 2017.
6. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000.
7. დ. უზნაძე, ისტორია პირველყოფილი კულტურისა, თბ., 1919.
8. დ. უზნაძე, ძველი ისტორია. სისტემური კურსი, ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, თბ., 1919.
9. დ. უზნაძე, მსოფლიო ისტორია. ძველი საბერძნეთი, მეორე ნაწილი, თბ., 1918.
10. დ. უზნაძე, ძველი ისტორია, ნაწილი მესამე, რომის ისტორია, თბ., 1920.
11. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ძველ საუკუნეთა ისტორია. თბ., 1918.
12. გრ. ნათაძე, პირველყოფილი კულტურა, თბ., 1920.
13. ივ. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია – შედგენილი ა. ა. ვასილიევის სახელმძღვანელოს მიხედვით, თბ., 1920.

14. ა. ვულფიუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო, ქუთაისი, 1919.
15. საშუალო საუკუნეთა ისტორია, შედგენილი ვ. დონდუას მიერ. ქუთაისი, 1919.
16. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მეორე. საშუალო საუკუნეები, ქუთაისი, 1918.
17. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორია (მე-XVI-XVIII საუკუნეები), თბ., 1920.
18. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორია (XIX-XX საუკუნეები), თბ., 1920.
19. დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია (XV-XVII საუკუნეები), თბ., 1920.
20. დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები), თბ., 1919.
21. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მესამე, ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
22. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
23. ა. ვულფიუსი, ახალი ისტორია (XV-XVIII საუკუნეები), თბ., 1919.
24. ე. ლავისი, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1918.
25. გრ. ნათაძე, ინგლისის მოკლე ისტორია, თბ., 1919.
26. თ. ჭუმბურიძე, პირველყოფილი კულტურა. პირველი კლასის კურსი, გადმოკეთებული დ. კუდრიავსკის წიგნიდან, ქუთაისი, 1919.
27. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1935. აღწერა 1. საქმე 875.

## თავი მესამე

### მითებს რეალობა ამსხვრევს

როგორც ხედავთ, მთავარი საბჭოთა მითი თითქოს საქართველოს გასაბჭოებამდე ამ დარგში არაფერი არ კეთდებოდა ჩვენ თვალწინ ჩამოიშალა. საბჭოთა წარმოდგენას საყრდენი ბოძები გამოეცალა. ის ჰაერში გამოეკიდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება ამ დარგის განვითარების საბჭოური წარმოდგენა გაკოტრებულია. ჩვენ 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში გამოსულ მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებს სულ სხვა კუთხით შევხედეთ და როგორც ამ დარგის განვითარების წყაროზე დაყრდნობით, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის განსხვავებული სურათი დავდეთ. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ საკმაოდ გრძელი და საინტერესო გზა გაიარა და თავისი ხანგრძლივი წარსული აქვს, თავისი ტრადიცია გააჩნია. ფრთოსანი გამონათქვამის თანახმად ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება, მითებს რეალობა ამსხვრევს.

განსხვავებული მიდგომა მთავარი პოსტულატები ასე ჩამოვაყალიბეთ: (ზოგ რამეს შევასხენებთ მკითხველს, ზოგსაც კი ახალს დავამატებთ).

1. როგორც ირკვევა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში და ამის მიჩქმალვა, მი-

ჩუმათება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს სიახლეები აი ასე გვესახება. ის რამდენიმე პუნქტად უნდა დაიყოს.

ა. ამ სფეროში არავითარ ჩავარდნას, რეგრესს, სტაგნაციას, როგორც ამაზე უყვარდათ აპელირება საბჭოთა წლებში, სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. როგორც ირკვევა, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა 1921 წლიდან კი არა იღებს სათავეს, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ საქართველოს გასაბჭოებამდე დიდი ხნით ადრე იწყება. ეს დაინტერესება თავის ზენიტს, პიკს, 1918-1921 წლებში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებში აღწევს. დაიწყო მუშაობა მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ფაქტობრივად, საძირკველი ჩაეყარა ამ დარგის შენებას. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. რისიც ვერა გაუკეთებელი დარჩათ. დასაწყისი ნამდვილად ურიგო არ იყო, მაგრამ, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. შუა გზაზე მოუწიათ მიტოვება. ამგვარად, ამ დარგის შენება იწყება, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე. 1918-1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში.

ბ. ირკვევა, რომ ამ მიმართულებით თავისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ნულიდან, ცარიელ ნიადაგზე კი არ დაუწყია, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდა, რომლისადმი დამოკიდებულება, საბჭოთა წლებში, უკიდურესად ნეგატიური იყო.

გ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ 1918 წლამდე ძველი მსოფლიო ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლაზე, პოპულარიზაციაზე, აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევად მიგვაჩნია. 1918 წლის შემდეგ ის სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს და ძირითადად, ძვე-

ლი მსოფლიო ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახება.

განსხვავებული სურათი იკვეთება ახალი ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, დროს. მას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და თითქმის მთელს XIX საუკუნეს და XX საუკუნის დასაწყისს მოიცავს, განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იძენს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც, უპირატესად, ორ გარემოებასთან ასოცირდებოდა, გააჩნდა პერიოდული პრესა, რომელსაც ცოტა ხანში გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამგვარი ვითარება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ახალი ისტორიის თემატიკის აქტუალობით იყო გამოწვეული.

**დ.** უნდა დავძინოთ, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლა შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებში, აღნიშნული მონაკვეთის ელიმანირება, ამოღება, ამ დარგის განვითარების წარსულიდან, ამ პრობლემის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს და მოუღებელია. დომინოს პრინციპით საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრებულია.

**ე.** ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. როგორც ჩანს, საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საკითხში პირველი თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები საბჭოთა რეალობას კი არ უკავშირდება, როგორც ამას ფიქრობდნენ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ ადგილი ჰქონდა გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია იყო.

**2.** ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და

პერიოდიზაცია, გამრუდებული იქნა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუფასებლობა. განსხვავებული მიდგომის მთავარ თეზად ამ სფეროში წინამორბედების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია დავსახეთ, რომელსაც საბჭოთა წლებში, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდა არსებობის უფლება. საქმე გვაქვს აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაციის მცდელობასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. აი ეს გახლავთ რეალობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა.

საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია საინტერესოა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მისი მთავარი თავისებურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. აი ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია იდენტურია და აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. ძველი მსოფლიოს ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2. ძველი მსოფლიოს ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).

3. ძველი მსოფლიოს ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა, პოპულარიზაცია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში,



როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

გარკვეული სპორადული ცნობები ადრეც იყო და უპირატესად, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ მისი მნიშვნელობის გადაჭარბება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. პერიოდიზაციაზე ლაპარაკი ნაადრევია. (1, 2, 3, 4, 5, 6.)

როგორც უკვე ითქვა, შედარებით განსხვავებულია საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ამ ეპოქის პრობლემეტიკის აქტუალობით უნდა ყოფილიყო განპირობებული, (ზოგჯერ ეს, იმ პერიოდის გადასახედიდან, უახლესი ისტორია იყო). ამ შემთხვევაში ასეთ სურათს ვიღებთ. ის პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. რამდენიმე ვერსია შეიძლება არსებობდეს.

პირველ სპორადულ ცნობებს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, შესაძლოა, კიდევ უფრო ადრე, გადავანყდებით. ეს მწირი ინფორმაცია საინტერესოა და მისი გვერდის ავლა, ჩვენ აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ეს აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დაინტერესება გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დროს, ფაქტობრივად, არ არსებობდა პერიოდული პრესა, ბევრი რამ, ეტყობა, დაიკარაგა. ჩვენამდე მხოლოდ მეტად მწირმა ინფორმაციამ მოაღწია, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ დაინტერესების ფრაგმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, (7, 8, 9, 10, 11, 12, 13).

არსებითად, საქმე გვაქვს ორ ვერსიასთან. ერთი, ეს ძუნწი ინფორმაცია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, საქართველოში ახალი დროის ისტორიის შესწავლის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება საქართველოში ამ ეპოქის ისტორიის გაშუქების ხუთ პერიოდად დაყოფასთან. ახალი ისტორიის საკითხების გაშუქება XIX საუკუნის პირველ ნახევარში, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, და XX საუკუნის დასაწყისში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში.

საბჭოთა პერიოდში, პოსტსაბჭოთა პერიოდში. არსებობს მეორე ვერსია, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო უპირიანი იქნებოდა ეს მონაკვეთი, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, საქართველოში ახალი ისტორიის თემატიკის გაშუქების, პირველ პერიოდად კი არა, მოსამზადებელ ეტაპად წინა ისტორიად, შესავალად იქნას მოაზრებული. ამ შემთხვევაში ოთხ პერიოდად დაყოფასთან გვექნება საქმე.

1. საქართველოში ახალი ისტორიის პრობლემების გაშუქების ათვლის ნერტილად პირობით შეიძლება აღებული იქნას XIX საუკუნის 60-იან წლები, როდესაც გაჩნდა პერიოდული პრესა, მას სულ მალე გვერდში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ეს მონაკვეთი გრძელდება 1918 წლამდე. ეს, ჩვენი აზრით, საქართველოში ახალი ისტორიის თემატიკით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. თავის მხრივ ეს პერიოდი კიდევ შეიძლება დაიყოს სამ მონაკვეთად. მათ შორის მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა იყოს XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურული, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და XX საუკუნის დასაწყისი, როდესაც სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკა სულ უფრო პრიორიტული ხდება. ასეთია ამ საკითხის ჩვენეული ხედვა. მისი მთავარი დამახასიათებელი შტრიხი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ახალი ისტორიის პოპულარიზაცია, უმთავრესად, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ჩარჩოებს არ ცილდება და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ის ქართულ საზოგადოებას საინტერესო ინფორმაციას აწვდის ევროპის ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. თუ არა ეს მწირი მასალა ამ სფეროში სრული შტილი, სინყნარე, გვექნებოდა. ამიტომ ამ საინტერესო მასალისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. მას წმინდა შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად წყაროთმცოდნეობითი დატვირთვა გააჩნია. პრესა როგორც

ისტორიული წყარო, ყოველივე ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. (14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23).

2. პირობით საქართველოში ახალი ისტორიის პრობლემებით დაინტერესების მეორე პერიოდად შეიძლება მოვიხაზოთ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ წლებში ახალი ისტორიის თემატიკით დაინტერესება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს და, როგორც უკვე ითქვა უმთავრესად ასახვა პოვა ამ წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მეტის გაკეთება მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ის ვაკუუმი, რომელიც ამ დარგში გაგვაჩნდა.

3. ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს არის მესამე პერიოდი. ის ქრონოლოგიურად მოიცავს მონაკვეთს 1921 წლიდან 1991 წლამდე. თავის მხრივ ის კიდევ შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად: თავდაპირველად 20-30-იანი წლები, როდესაც საბჭოთა კავშირში ისტორიის სწავლება ჩანაცვლა საზოგადოებათმცოდნეობამ. პრაქტიკულად, ეს იყო ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკონომიის, ნაჯვარი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა და საბჭოთა ხელისუფლებამ მასზე უარი თქვა (24, 25). ამის შემდეგ 30-იანი წლების შუა ხანებიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციას, უნიფიკაციას. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან, ეროვნულ სახელმძღვანელოზე მუშაობამ დაკარგა თავისი აქტუალურობა. მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. ახალი ქვეპერიოდი იწყება სტალინის გარდაცვალების შემდეგ. ის გრძელდება საბჭოთა კავშირის დაშლამდე. 90-იანი წლების დასაწყისში. მას ორი მკვეთრად გა-

მოკვეთილი მონაკვეთი გააჩნია, „დათბობის ხანა“ და „უძრავობის პერიოდი“. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შიდა პერიოდიზაცია.

4. ახალი ისტორიის საკითხების დამუშავება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაში. ფაქტობრივად, ეს გახლავთ ამ თემატიკის შესწავლის, პოპულარიზაციის, მეოთხე პერიოდი. მას სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის დაშლამ, 90-იანი წლების დასაწყისში და ის დღესაც გრძელდება. ის პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება გავყოთ. მათ შორის მნიშვნელოვან ნიშანსვცეტად გვევლინება 2006 წლის რეფორმა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს რეფორმას დადებითი მხარეები არ ჰქონდეს, მაგრამ, უარყოფითი ძალზე ბევრია. ასეთად მიგვაჩნია ასაკობრივი დევნა. თაობათა შორის წყვეტა. ეს ოთხ პერიოდად დაყოფის ერთი ვერსია. შეიძლება იყოს ამ პრობლემის პერიოდიზაციის სხვა ვერსია. ის ტრადიციული ოთხ პერიოდად დაყოფის ნაირსახეობად შეიძლება იქნას აღქმული.

1. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება XIX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე. თავის მხრივ ის კიდევ შეიძლება გაიყოს ორ მონაკვეთად, მათ შორის მიჯნა შეიძლება იყოს XIX საუკუნის 60-იანი წლები.

2. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხის დამუშავება 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში.

3. ახალი ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. (1921-1991).

4. ახალი ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

შეიძლება იყოს კიდევ ერთი, მეოთხე ვერსია, რომელიც საქართველოში მსოფლიო ისტორიის სამ პერიოდად დაყოფას ითვალისწინებს. ის ასე გამოიყურება, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა XIX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე. ე.

ი. საქართველოს გასაბჭოებამდე. ის კიდევ შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად. მათ შორის მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება XIX საუკუნის 60-იანი წლები, როდესაც გაჩნდა პერიოდული პრესა და 1918 წელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დანარჩენი ორი პერიოდი და მისი შიდაპერიოდიზაცია ისევ ძალაში რჩება და მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

5. შეიძლება ის ორ პერიოდადაც დაიყოს საქართველოს გასაბჭოებამდე და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. პირველი პერიოდის შიდაპერიოდიზაცია უცვლელი რჩება და ამიტომ აღარ გავიმეორებთ. მეორე პერიოდის შიდაპერიოდიზაცია ვფიქრობთ საკმაოდ გამჭვირვალეა და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური ნიშანი გააჩნია. ესაა საბჭოთა ხანა და პოსტსაბჭოთა პერიოდი, ფაქტობრივად, ეს გახლავთ უახლესი, თანამედროვე ისტორიოგრაფია. შეიძლება ეს იყოს მეხუთე ვერსია, მათ შორის განსხვავება მინიმალურია. ყველა ვერსიას გააჩნია არსებობის უფლება.

3. ვფიქრობთ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტიურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, აი ეს იყო რეალობა, რომელსაც ბოლშევიკები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ როგორმე წაეშალათ ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ, ამოოდ დაშვრენ. მათი ეს მცდელობა სრული კრახით დამთავრდა და დღეს აღნიშნულ პრობლემებზე საბჭოთა წარმოდგენა, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიული რეტროს სურნელი დაკრავს და არ გადავაჭარბებთ

თუ ვიტყვით, რომ სავსებით გაკოტრებულია. მითებს რეალობა ამსხვრევს. ისევ გავიმეორებთ ხატოვან გამონათქვამს, ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, აკვანი დაირწა არა საბჭოთა პერიოდის საქართველოში, როგორც მიღებული იყო, არამედ დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, 1918 წლის 8 თებერვალს გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული ორი ღონისძიება. ჯერ იყო და დიდი ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ სწავლების მიზნით მოიწვიეს ამ დარგის სპეციალისტები სიმონ ავალიანი და გრიგოლ ნათაძე, (26. 27) ამავე დროს დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. როგორც ჩანს, ეს საკითხი უყურადღებოდ არ დარჩენილა და ინტენსიურად შეუდგენ მუშაობას. დრო, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბევრი არ ქონდათ. შესაძლოა, ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ეს არ იყო პატარა საქმე და ამის მიჩუმათება, მიჩქმალვა, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ხანაში, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, კონკრეტულად, ამ სახელმძღვანელოებზე ამ ეტაპზე და საერთოდ ამ დარგის წარსულზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. რისი გაკეთებაც ვერ მოასწრეს ვერ გააკეთეს. ჩანაფიქრის დონეზე დარჩა. ეს, ცხადია, მათი ბრალი არ იყო. ამის გამო მათი მკაცრად განსაჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. პირველი ნაბიჯები სწორედ გათვალეს, კარგად გადადგეს. დასაწყისი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად ურიგო არ

იყო, რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს პროცესი სულ სხვა სცენარით წარიმართა. როგორც მრავალგზის გვითქვამს ეს თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადაგდებული ნაბიჯი, ნამდვილად არ ყოფილა.

4. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამავე დროს ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენს საქართველოში ამ დარგის განვითარების საინტერესო საბუთს, წყაროს. რომელიც საშუალებას გვაძლევს ეს თემა სულ სხვაგვარად დავინახოთ.

განსაკუთრებულად მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. როგორც აღვნიშნეთ. დაიწყო მუშაობა მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. საქართველოს ისტორიის ეს საინტერესო მონაკვეთი დიდხანს არ გრძელდებოდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და სწრაფად დასრულდა.

მიუხედავად უამრავი სირთულეებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაინც მოახერხეს ამ დარგის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი შეეტანათ და ამ საინტერესო მონაკვეთმა თავისი სუსტი, მკრთალი, კვალი დააფიქსირა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. საუბარია მხოლოდ მეცნიერული მიდგომის მცდელობაზე. ტენდენციაზე. იკვეთება მისი კონტურები, წანამძღვრები, სიმპტომები, პირველი ნიშნები. ამ დარგის განვითარების წინაპირობაა. ეს ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. რომ დაცლოდათ ბევრ კარგ წამოწყებას განახორციელებდნენ. პირველ ყოვლისა კი, რა თქმა უნდა, შეეცდებოდნენ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. ამის დიდი ალბათობა

ბა იყო. როგორც შესაძლებლობა, ისე პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. ვფიქრობთ. არაფერს არ უნდა ვაჭარბებდეთ. სიმონ ავალიანი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წერეთელი, ვარლამ დონდუა, გრიგოლ ნათაძე – რა თქმა უნდა, ეს ცოტა არ იყო. ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორც საქართველოა, ალბათ, ბევრიცაა.

ამგვარად, ირკვევა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია, თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს არა საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს მიღებული იყო, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით. საინტერესოა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები, დაინყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს, არ აკნინებს ამ პერიოდის მნიშვნელობას, უბრალოდ, მათ მეტის გაკეთება, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, ველარ მოასწრეს. ეს არ იყო მათი ბრალი. ეს სახელმძღვანელოები, როგორც უკვე ითქვა, იმ პერიოდის ქართულ რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომლის შორეული ექო დღესაც გაისმის, საბჭოთა მიდგომის ნისქვილზე ასხამს წყალს და, ჩვენი აზრით, სრულიად უადგილოა. ეს სახელმძღვანელოები, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიურ, ჩარჩოებში.



როგორც პირველი მცდელობა ეს სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომელიც სახელმძღვანელოების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, ეს კარგად ესმოდათ სახელმძღვანელოების ავტორებსაც. რას წერდა დიმიტრი უზნაძე. „კერძოდ, არც ჩემი ნაშრომია დადინჯებულისა და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და უდროოდ მომნიშვნელებული აღმოჩნდეს. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ შრომის პირველი გამოცემის, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება და ამ დროისათვის კი პრაქტიკისა და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით, ჩემი ნაშრომი უფრო მომნიშვნელებისა და დასრულებული ნაწარმოების სახეს მიიღებს“. (28) რამდენიმე ხნის შემდეგ დიმიტრი უზნაძე კვლავ წუხდა „მოთხოვნის მიხედვით, მისი ღირსებები უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ... წაგვართვა საშუალება საკაბინეტო და მშვიდ მუშაობისა და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... შეიცვალა მასალის აგებულ წესრიგი და ზოგან მოთხოვნის ხასიათიც. დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვასწარით... თუ საჭირო შეიქმნება მესამე გამოცემისათვის უფრო გულდასმით მოვემზადებოდით და შინაარსის მხრივაც წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვაწვდი საზოგადოებას, რისი დამზადებაც მოვასწარი“. (29) ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. ჯერ ერთი, რა პასუხისმგებლობის გრძნობით უდგებოდნენ ისინი დაკისრებულ მოვალეობას და რა რთულ პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. მეორეც, თვითკრიტიკული დამოკიდებულება ამ სფეროში მათი საქმიანობის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. და ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინების საიმედო გარანტიად გვესახება. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

4. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საკითხში სწორი გზით მიდიოდნენ. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული, აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამიტომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოგყოთ თავი. ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა აპოლოგეტური შეფასებით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს მიუღებელი იქნებოდა.

საკითხისადმი, მეცნიერული, მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. უწინარესად, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ. მეორეც ერთი, ის ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმის. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ქართულ ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს, არ ჩამორჩეს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი აქვს ევროპულ, უწინარეს ყოვლისა, კი რუსულ ისტორიოგრაფიაში. ეს ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. მოვლენების სულ სხვა სცენარის მიხედვით განვითარდა, რომელიც ამკარად ცილდებოდა წმინდა აკადემიური ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ დარგის განვითარებაში ადგილი აქვს მკვეთრ მეტამორფოზს. ეს იმით გამოიხატება, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლებამ, შესწავლამ, პოპულარიზაციამ, სულ სხვა ხასიათი შეიძინა, სულ სხვა მი-

მართულება მიიღო, რომელიც, როგორც მრავალგზის აღგვი-  
ნიშნავს, თავდაპირველი გზის გაგარძელებლად, წინგადადგმულ  
ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. თავდაპირველი ღირებულებები:  
თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალ-  
ვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალუ-  
რი შეხედულებები, საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომა, სულ  
სხვა ფასეულებებმა ჩაანაცვლა. ეს არის წარსულისადმი მონის-  
ტური მიდგომა, რომელმაც დაიკავა პლურალიზმის, ისტორიული  
მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის, ადგილი. თავი-  
სუფალი აზროვნება ადგილს უთმობს ერთი ვინროდოგმატურად  
გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას,  
დიქტატს, მისთვის დამახასიათებელი იყო განსხვავებული აზრის  
სრული უგულებელყოფა, იგნორირება. ვინროდოგმატურად გაგე-  
ბული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ცხადდებოდა ჭეშ-  
მარიტების უკანასკნელი ინსტანციად. პრიორიტეტული შეიქმნა  
ფორმაციული პრინციპი, წარსული მოვლენებისადმი კლასობრი-  
ვი მიდგომა. კლასობრივი ბრძოლის გაფეტიშება. წარსულისადმი  
მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებუ-  
ლი. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტო-  
რიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, ამ გზას  
ჩიხში მივყავართ საბჭოთა ისტორიოგრაფია კრიზისის გასაღე-  
ბი, სწორედ აქ ძევს, მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი  
შეიძინა. საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო პოლიტიზირებული და  
იდეოლოგიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამიტომ ვერ  
ვიტყვი, რომ სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერების საქმიანო-  
ბაში. ეს არ შეესატყვისება სინამდვილეს. საბჭოთა რეალობაში  
ისტორია პოლიტიკის მოახლედ იქცა მისი განუყოფელი ნაწილია.  
ეს გახლავთ რეალობა. რომლის არც შელამაზება, ვარდისფერებ-  
ში წარმოჩენა და არც გამუქება სასურველი არ იქნებოდა

**6.** საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლება, შესწავლა,  
პოპულარიზაცია, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ  
სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ეს დიდი ხნის

განმავლობაში საბჭოთა გადასახედიდან ჩანდა. მან საკმაოდ საინტერესო ფერისცვალება, ევოლუცია, განიცადა. საკითხი გახლავთ რთული და მრავალნაზნაგოვანი. ის უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად, წარმოგვიდგენია. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული. პრიორიტეტული იყო საკითხისადმი მეცნიერული დამოკიდებულება, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი დამოკიდებულება თავის კულმინაციას, პიკს, აღწევს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. საფიქრალია, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, რომელზე მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს.

ამ დარგის განვითარების საქმეში შემოტრიალებას აქვს ადგილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და უფრო მეტი მინუსები. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ შეინარჩუნა მეცნიერული ხასიათი, ემპირიის, ფაქტოლოგიის, სფეროში პროგრესი აშკარაა და ამის გვერდის ავლა, ცხადია, არ ივარგებს, მაგრამ მან ცალმხრივი მიმართულება მიიღო და ერთი ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიცირება. საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ამის წინააღმდეგ ხმის ამოღება არავის შეეძლო და აღიქმებოდა, როგორც მკრეხელობა. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, იდევენებოდა, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა, ყველაფერი ამის ლოგიკური დაგვირგვინებას წარმოად-

გენს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. არჩევანი არ არსებობდა. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩრდილი მაინც დომინანტი იყო შუქზე. ამიტომ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აპოლიგეტური შეფასება დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, არც საქმის ვითარების გამუქება არ ივარგებს, რაც ხშირად შეინიშნება დღეს, ეს აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს როდი გვიხატავს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია, ჭეშმარიტება კი, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალებო გზის გამონახვა საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ნოსტალგიის ან ანტიპათიის გამო, სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. (30)

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი არჩევანის გაკეთებას, სწორი აქცენტების დასმას. ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პრიმატობის დაძლევა. ცხადია, ეს არ იქნება ადვილი საქმე, წარმატებებთან ერთად გვექნება პრობლემები და ამის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

ეს პირველი შრომები მსოფლიოს ისტორიის აქტუალური საკითხების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ, პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებად შეიძლება მოვივაზროთ.

**7.** დასასრულს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო სიახლეს, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული მუხტი გააჩნდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა კიდევ ერთ წარმატებად მიგვაჩნია. ჩვენ ვერ მოვთხოვთ მათ ორიგინალური სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერას. ჩვენი აზრით, ეს

სწორი არ უნდა იყოს. დროის ამ მცირე მონაკვეთში, ცხადია, ამას ვერ გააკეთებდნენ. ამას დროს ჭირდებოდა. დრო კი ძალზე ცოტა ჰქონდათ. საჭირო იყო სასწრაფოდ მოეძებნათ ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი. მათ ყურადღება მიაპყრეს ევროპელ, უპირატესად კი, რა თქმა უნდა, რუსულ სახელმძღვანელოებს და სცადეს მათი თარგმნა ან უკეთეს შემთხვევაში ქართული რეალობისათვის მორგება. ვფიქრობთ, ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამ რთული სიტუაციიდან მათ წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული გამოსავალი გამოძებნეს. ჩვენი აზრით, ეს არანაირად აკნინებს, არავითარ ჩრდილს არ აყენებს ამ სფეროში მათ მიერ შეტანილ წვლილს. აქ რაიმე ნიჰილიზმი, სკეპტიკური დამოკიდებულება, სრულიად უადგილო იქნებოდა. ამ ნაბიჯმა გადაარჩინა ქართული სკოლა ამ დარგში მოსალოდნელ კოლაფს. ის გამართლებული იყო.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ სწავლება თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაში, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში, დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის ნორმალური სწავლების მცდელობასთან. აქ რაიმეს გადაჭარბება სასურველი არ იქნებოდა. ეს იყო და ეს. მეტის გაკეთება მათ უბრალოდ, არ დასცალდათ. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

ამ სახელმძღვანელოების წყალობით ქართულ რეალობაში იქმნება პირველი შემთხვევა მსოფლიო ისტორიის ქართულ ენაზე სწავლების. ეს არა იყო პატარა საქმე და ამის წაყრუება მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს. ქართულ სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლებამ ეროვნული ხასიათი შეიძინა და მეცნიერული ელფერი მიიღო. ეს იყო სწორედ, მთავარი სიახლე.

ეს სახელმძღვანელოები როგორც პირველი მცდელობა, რა თქმა უნდა, უნაკლო ვერ იქნებოდა, მაგრამ, როგორც გვგონია,

მას ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი. და. ამის დაუნახაობა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს.

ამრიგად, საქმე გვაქვს საქართველოში, მსოფლიო ისტორიის გაშუქების წინაპირობასთან. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. მეტი გაკეთება დროის ამ მცირე მონაკვეთში მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს. აი ასე გვესახება რეალობა, რომლის არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ სერიოზულ წარმატებად მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მიგვაჩნია. უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მეტი გაკეთება ვეღარ მოასწრეს. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება რომ ამ მონაკვეთმა აღნიშნული დარგის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა და მეტად სუსტი, მკრთალი, კვალის დატოვება მაინც მოასწრო. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ამაზე თვალის დახუჭვა, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და საშუალებას გვაძლევს ამ დარგის განვითარების წარსულს სხვაგვარად შევხედოთ და მისი განვითარების განსხვავებული სურათი დაგვედო, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება საბჭოთა წარმოდგენას. მას საფუძვლად უდევს ორი თეზა: საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში საბჭოთა წარმოდგენის რევიზია და ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ეს ტენდენცია მსჭვალავს მთელ ნაშრომს. ამ ნაბიჯმა გადაარჩინა ქართული სკოლა ამ დარგში მოსალოდნელ კოლაფსს. ის გამართლებული იყო. ამ პრობლემისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთ ღირსებად საკითხისადმი წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, მიდგომა მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ად-

გილი აქვს მსოფლიო ისტორიის მეცნიერული გაშუქების პირველ მოკრძალებულ მცდელობას, წინაპირობას, ტენდენციას, რომელმაც, უმთავრესად, გამოძახილი პოვა მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში, ვერ ხვდებოდა. ეს არცაა გასაკვირი. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამ თემის განხილვა, უპირატესად, პოლიტიკური განსჯის საგანი უფრო იყო, ვიდრე აკადემიური, მეცნიერული, მსჯელობის. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ქართული ისტორიოგრაფია, დიდი ხნის განმავლობაში ამ საკითხში სწორი მეცნიერული გზით არ მიდიოდა, სწორი ვექტორი არ უნდა ჰქონოდა დასახული. ეს საკითხი მრუდე სარკეში აისახებოდა. (XIX საუკუნე საკმაოდ კარგადაა გაშუქებული ვარლამ დონაძის, ნინო ნამორაძის, ლალი ფირცხალავას, ვაჟა თვალავაძის, ომარ გოგიაშვილის, ალექსანდრე ურთმელიძის, დალი ჩიკვილაძის და სხვათა საინტერესო შრომებში. ამიტომ ვამჯობინეთ ყურადღების კონცენტრაცია მოგვეხდინა ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილ წვლილზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებული თემა იყო).

საფიქრალია, რომ ეს იქნებოდა მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი, პირველი საფეხური, რომლის გაკეთებაც დაიწყეს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამას ექნებოდა თავისი გაგრძელება, მაგრამ, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო. ეს ასე არ მოხდა. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. იძულებული იყვნენ შუა გზაზე შეეწყვიტათ, ეს არ იყო მათი ბრალი. მათი ჩანაფიქრი სამი საფეხურისაგან შედგებოდა: პირველ საფეხურს, რომელზეც უკვე გვექონდა საუბარი. დაიწყო მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობა, ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ მოყვებოდა მეორე საფეხური, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიო ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დანერას, რომელიც იმ კა-



რგი ტრადიციის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მათი ჩანაფიქრის დასკვნით აკორდად, მესამე საფეხურად კი, გვევლინება მსოფლიო ისტორიის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. ასეთი პერსპექტივა რეალური იყო, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო, მოვლენები, სულ სხვაგვარად განვითარდა. ეს არ იყო თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინ გადადგმული ნაბიჯი. აი ასე გვესახება მათი ჩანაფიქრი.

ეს სახელმძღვანელოები როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა მათ შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს სწორი გადანყვეტილება იყო. ფაქტობრივად, ეს გახლავთ მსოფლიო ისტორიაში პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. აი ეს არის რეალობა, რომელიც ბოლშევიკებს, ეკალივით ესობოდა თვალში, გულს უკლავდა და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ ამოეშალათ ის ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამოდ დაშვრენ, სრული ფიასკო განიცადეს, გაბითურებული დარჩნენ. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განვითარების საკითხში საბჭოთა წარმოდგენა დღეს უკვე გაკოტრებულია, არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ჩანასახშივე მცდარია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია.

\*\*\*

თუ განვაზოგადებთ ყოველივე ზემოთქმულს ასეთი სურათი იკვეთება. საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის საკითხის სრულიად განსხვავებულ, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო რეალისტურ მიდგომასთან, ვიდრე ეს აქამდე იყო. საბჭოთა წარმოდგენა მეცნიერულად, არგუმენტირებულად იქნა გაბათილებული. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ამ მონაკვეთის დასკვნასთან.

ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო საინტერესო გასაბჭოებამდე მონაკვეთი შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, რომ ამ მონაკვეთს რალაც რომანტიკული შარმი გააჩნია, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ამ პერიოდში მიმდინარე პროცესებმა დასრულებული სახე ვერ შეიძინა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა და, უმთავრესად პოლიტიკური ქართველების გამო ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფის ძნელბედობის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ყველაზე უფრო მეტ აზრთა სხვადასხვაობა, სწორედ ამ პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების და მნიშვნელობის განსაზღვრა იწვევს. ეს მონაკვეთი თავისუფალია მძლავრი პოლიტიკური წნეხისაგან და აკადემიურ ჩარჩოებში თავსდება. მიუხედავად, ცარიზმის მკაცრი ცენზურისა ქართველი პუბლიცისტები მაინც ახერხებდნენ, სხვადასხვა ფორმით, თავისი სათქმელი მიეტანათ მკითხველამდე. ეს ვფიქრობთ, საინტერესოა. ეტყობა, ცარიზმის დროს უფრო დასაშვები ჩანდა თავისუფალი აზროვნება, ვიდრე საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის დროს. კიდევ ერთი საბჭოთა მითი ბათილდება.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მცირე წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ნათქვამის დასტური უნდა იყოს. იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი და ეს სახელმძღვანელოები საქართველოში მსოფლიოს ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველ მცდელობად გვევლინება და ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯია. სიმბოლური უნდა იყოს, რომ ამ დარგის პირველი ნაბიჯები მნიშვნელოვანწილად, სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკასთან ასოცირდება. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს.

ჩვენ ამ სახელმძღვანელოებს სულ სხვა კუთხით შევხედეთ და შევეცადეთ მასში ამ დარგის ისტორიის წყარო დაგვეჩვენებინათ. ეს უკვე სრულიად სხვა რაკურსი იყო. ეს დაედო საფუძვლად აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენის რევიზიას. ჩვენ სულ სხვა აქცენტები დავსვით, სულ სხვა პრიორიტეტები დავსახეთ. ამ დარგის განვითარების სრულიად განსხვავებული სურათი დავდეთ, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა მიდგომისაგან. ჩვენ ვცადეთ ამ თემის გაშუქება, პოლიტიკური განსჯის საგანი კი არ ყოფილიყო, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, არამედ წმინდა აკადემიური მეცნიერული, მსჯელობის ობიექტი გამხდარიყო. ვფიქრობთ, ეს უფრო გამართლებული უნდა ჩანდეს.

მთელს ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ეს სწორი არ უნდა იყოს. ამ მონაკვეთის და ამ სახელმძღვანელოების რეანიმაციას თან მოყვება მისი რეაბილიტაცია. ამაში ალოგიკურს

ვერაფერს ვხედავთ. ამ მონაკვეთს და ამ სახელმძღვანელოებს დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რომელიც საბჭოთა წლებში, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდა, ვცადეთ აღგვედგინა სამართლიანობა: მას მიუჩინეთ თავისი კუთვნილი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია, თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ სინამდვილეში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე და თავისი ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია, რომლის კულმინაციად, აპოგეად, 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები მიგვაჩნია. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. სულ ეს იყო ის რისი გაკეთებაც, დროის ამ მცირე მონაკვეთში, მოასწრეს, რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია.

უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსოფლიო ისტორიის პრობლემების გაშუქებამ დასრულებული სახე ვერ შეიძინა და სასურველი სიღრმე ვერ მიიღო, მისი კვალი მხოლოდ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში იკვეთება. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ პატარა საქმე არ იყო. სასურველი იქნებოდა აქცენტი გავაკეთოთ, არა რაოდენობაზე, არამედ მის პრაქტიკულ, პრაგმატულ, მნიშვნელობაზე, ჩვენი აზრით, მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს.

ის გარემოება, რომ ამ მონაკვეთმა მხოლოდ მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები პოვა გამოძახილი, როგორც ჩვენ გვგონია, არავითარ ჩრდილს არ აყენებს, არ აკნინებს მის მნიშვნელობას და პესიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავთ. ეს საკითხი ჩვენ აი ასე გვესახება.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები ყურადღებას იმ-

სახურებს და ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, ამ მონაკვეთის მეცნიერული მნიშვნელობის გადაჭარბება, ცხადია საჭირო არაა, არ ღირს, ეს, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა, დაზუსტების მიზნით აქ საუბარია მეცნიერული მიდგომის მხოლოდ კონტურებზე, ნანამძღვრებზე, სიმპტომებზე, პირველ ნიშნებზე. იკვეთება საქართველოში მსოფლიო ისტორიის საკითხების დამუშავების წინაპირობა. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა. როგორც უკვე მრავალგზის ითქვა ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და აქ პრობლემა არ უნდა არსებობდეს. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს, მრავალი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრეს, (29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36).

ეს გახლავთ ამ პრობლემის ხედვის ჩვენი ვერსია. რა თქმა უნდა, ის წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფია, ვფიქრობთ, ამის კარგი ნიმუში უნდა იყოს. პირადად ჩვენ გაცილებით უფრო მისაღებად გვეჩვენება სულ სხვაგვარი მიდგომა. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. XX საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის, პიტელ ჰეილის ამ სიტყვებში ყველაზე უფრო კარგადაა დანახული ისტორიული პროცესის შემეცნება. ზუსტადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა.

## **ლიტერატურა:**

1. დ. ბაქრაძე, მითრიდატე პონტოელი, 1880.
2. გირო, ლაკურ-გეი, ძველ რომაელთა ისტორია ფრანგულიდან თარგმნა ვ. ლორთქიფანიძემ, 1906.
3. შ. ნორმანი, საბერძნეთის ძველი ისტორია, ფრანგულიდან თარგმნა ვ. ლორთქიფანიძემ, 1903.
4. ჟანა დარკი, თბ., 1889.
5. იან ჰუსი, 1889. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემატიკიდან პრიორიტეტული, სწორედ, ეროვნულ-განმანათავისებლებელი მოძრაობის თემატიკა აღმოჩნდა. ეს ადვილი გასაგებია. ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ყოველთვის აქტუალური თემა იყო.
6. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის პირველი ნაბიჯი, მაცნე, ისტორიის სერია №2. 2017.
7. ნ. ბარათაშვილი, პოემები, ლექსები, თბ., 1968.
8. ა. ორბელიანი, ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა, ლიტერატურული საქართველოს, 1996 წ 25 ოქტომბერი.
9. ა. ორბელიანი, სიტყვა-იტალიისათვის, სიტყვა მამულის ტრაპეზედ, თბ., 1999.
10. ევროპის ისტორიის საკითხებში საკმაოდ ჩახედული ჩანან, 1832 წლის შეთქმულები. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ნან. 1. ტფილისი, 1935. ნან. 2. თბ., 1970. ნან. 3. თბ., 1977.
11. მ. კალანდაძე, ალექსანდრე ორბელიანი დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე, თბ., 2010.

12. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008.
13. რ. ჩხეიძე, „ჩემი წილი ვატერლოო“, თბ., 2015.
14. ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, თბ., 1962.
15. ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970.
16. ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) თბ., 1978.
17. ვ. დონაძე, ილია ჭავჭავაძე და მსოფლიოს ახალი პერიოდის ისტორიის პრობლემები, თბ., 1987.
18. Н. Наморадзе, Грузинская передовая общесвенность о зарубежной Европе (По материалам газеты «Дроеба» (1866-1885 гг.), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1984.
19. Л. Пирцхалава, Газета «Иверия» о проблемах новой истории Европы (1886-1902 гг.), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1990.
20. ო. გოგიაშვილი, ილია ბრიტანული დიპლომატიის შესახებ (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 15. თბ., 2011.
21. ო. გოგიაშვილი, ილია ბისმარკის დიპლომატიის შესახებ, ქართული დიპლომატია. წელიწდეული, 16. თბ., 2013.
22. В. Твалавадзе, Вопросы новой истории Германии и грузинская публицистика (последняя трет XIX века). Тб., 1980.
23. ა. ურთქმელიძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის საკითხები და გაზეთი „კვალი“, კრებული მოძღვნილი ვარლამ დონაძის ხსოვნისადმი, თბ., 1996.
24. ნ. მამუკელაშვილი., საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებული, თბ., 1993.

25. ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორიის სწავლება საბჭოთა სა-  
შუალო სკოლაში. კრებული მიძღვნილი ვარლამ დონაძის  
ხსოვნისადმი, თბ., 1996.
26. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი. გრიგოლ ნა-  
თაძის პირადი საქმე, ფონდი 1. ანაწერი 1. შესანახი ერთეული  
1426, ნუსხა 291.
27. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ.,  
2014.
28. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტუ-  
რა, ქუთაისი, 1917.
29. დ. უზნაძე, პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბ., 1919.
30. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრა-  
ფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარული მეცნიე-  
რებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალი  
და უახლესი ისტორიის კათედრა. კათედრის VIII საფაკულტე-  
ტო კონფერენცია, თბ., 2015.
31. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული  
კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
32. მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ  
ისტორიოგრაფიაში. თბ., 2007.
33. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ.,  
2009.
34. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტო-  
რიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
35. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუ-  
ციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
36. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანო-  
ბის შესწავლა საქართველოში, თბ., 2021.
37. მ. კალანდაძე, საქართველოში ინგლისის რევოლუციის  
შესწავლის საკვანძო საკითხები, გორის სასწავლო უნივერ-



- სიტეცის. ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, 14. 2016.
38. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები, საისტორიო ძიებანი, XII, თბ., 2015.
39. მ. კალანდაძე, ნიდერლანდების განდგომის ისტორიის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9-10, თბ., 2018.
40. მ. კალანდაძე. ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, 15, თბ., 2018.

## დასკვნა

როგორც ვნახეთ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვრად შეეცადა წინ წაენია მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს იყო სინამდვილე, რომელსაც საბჭოთა წლებში საგულდაგულოდ ცდილობდნენ გვერდის ავლას, სურდათ, რომ როგორმე ამოეშალა ის ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან. მაგრამ, ამაოდ დაშვრნენ, სრული კრაზი განიცადეს. გაბითურებულები დარჩნენ. ამგვარი ნეგატიური წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და გააჩნია თავისი მიზეზი. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, საბჭოთა თვალსაზრისი იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული და ამ დარგის წარსულზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ის სერიოზული კორექტირების შეტანას საჭიროებს, რასაც ვაკეთებთ კიდევ.

ჩვენ ვცადეთ, რომ ეს მიდგომა მსოფლიოს ისტორიის ცალკეულ კომპონენტებზე გაგვევრცელებინა. ძველი მსოფლიო ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია, მსოფლიო ისტორიის ცალკეული აქტუალური პრობლემები. ფაქტობრივად, ამ დარგის და მისი ცალკეული კომპონენტების განვითარების სრულიად განსხვავებული სურათი დავდეთ, რომელიც არ გავს მის წინამორბედს. საბჭოთა წარმოდგენისაგან განსხვავებული მიდგომის მთავარი წყარო როგორც უკვე აღვნიშნავთ, იყო 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს საინტერესო რაკურსი იყო. ჩვენ წინ წამოვწინეთ ამ სახელმძღვანელოების წყაროთმცოდნეობითი ასპექტი, რომელიც

იმაზე უფრო მივიწყებული იყო, ვიდრე თვითონ ეს სახელმძღვანელოები. ყველაფერთან ერთად, წარმოადგენს იმ პერიოდის ისტორიული აზროვნების წყაროს, მისი წყაროთმცონეობითი მნიშვნელობა, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური ტონი, ეს არცაა გასაკვირი. ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ პრობლემაზე საბჭოთა წარმოდგენის რევიზია მოვახდინოთ, რისი გაკეთებაც ვცადეთ კიდევ. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება. ამის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენს ამ მონაკვეთის რეანიმაცია, რეაბილიტაცია.

ირკვევა, რომ საქართველოში ამ დარგის განვითარება, გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ვიდრე ეს საბჭოთა გადასახედიდან მოჩანს.

მსოფლიოს ისტორიის შესწავლას საქართველოში თავისი ტრადიცია გააჩნია. მან საკმაოდ დიდი და რთული გზა განვლო, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სულაც არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. იყო წარმატებები, მაგრამ იყო პრობლემები და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნება და ამ დარგის განვითარებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. განსაკუთრებით აღვნიშნავთ პოლიტიკურ კატაკლიზმებს, რომელთაც ამ დარგის წინსვლა განვითარებას, უმთავრესად, უარყოფითი კვალი დაატყო. აი ეს არის რეალობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა.

მსოფლიო ისტორიაზე, განსაკუთრებით კი ახალ ისტორიაზე, პირველ სპორადულ ცნობებს გადავანყდით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, შეიძლება კიდევ უფრო ადრე. ეს დაინტერესება თავის პიკს, აპოგეას, აღწევს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა

თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. იმ პერიოდის ქართული სინამდვილის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის შეუფასებლობა, რაც ლაიტმოტივად გასდევს მთელ საბჭოთა პერიოდს, ამ მონაკვეთის მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

გამრუდებული აღმოჩნდა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის პოპულარიზაციის, საერთო სურათი, პერიოდიზაცია. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ერთი, ჩვენი აზრით, წონადი და საინტერესო მონაკვეთი ამ დარგის წარსულიდან ელიმინირებული, ამოღებული, იქნა. თითქოსდა არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, თანდათან მივიწყებას მიეცა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

როგორც ვხედავთ, საქართველოს გასაბჭოებამდე არავითარ ჩავარდნას, რეგრესს, სტაგნაციას, ადგილი არ ჰქონია. ეს დარგი ფეხს იდგამს, ცდილობს პირველი ნაბიჯები გადადგას, სიარულს სწავლობს, ვითარდება, წინ მიდის, პროგრესირებს. რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა უმტკივნეულო პროცესი. იყო პრობლემები, რომელზეც თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნება. ამ პერიოდის შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა, ისეთივე მიუღებელი იქნებოდა, როგორც მისი შეუფასებლობა, რაც ლაიტმოტივად გასდევს მთელ საბჭოთა ეპოქას. წინამორბედების წვლილისადმი საბჭოთა მიდგომა იყო ხისტი. ამგვარი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და საბჭოთა რეალობის გაიდიალების კიდევ ერთი ხერხია. მანამდე ღირებული არაფერი გაკეთებულაო, გაიძახოდნენ ისინი.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით კი არ იწყება საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, არამედ, ჩვენი აზრით, ეს იყო მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი, მიჯნა, აღნიშნული დარგის განვითარების შიგნით, აი ასეთი იყო რეალობა. ეს, ცხადია, არ აწყობ-

დათ ბოლშევიკებს და ყოველნაირად ცდილობდნენ მის დაკნინებას, დამცირებას, ასეთი იყო პოლიტიკური ნება. 1921 წლიდან ამ დარგის განვითარების ისტორიის დაწყება დაგვიანებული უნდა ჩანდეს. ეს მისი განვითარების ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია. მსოფლიოს ისტორიის საკითხების გაშუქება 1921-1991 წლებში საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომლის აპოლოგეტური შეფასება, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. მისი მხოლოდ მუქ საღებავებში წარმოჩენა, რაც ძალუმად იგრძნობა დღეს, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის პროგრესთან კი არ ასოცირდება, როგორც ეს მიღებული იყო დიდი ხნის განმავლობაში, არამედ რეგრესთან, უფრო ზუსტად სწორი გზიდან გადახვევასთან. როგორც ხშირად ვამბობთ აქაც და სხვაგანაც, ეს თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. დღეს ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას. ეს, ცხადია, კარგია. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით ქართული ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდება. ეს სინამდვილე არ იქნებოდა, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით უფრო მეტია. ეს გახლავთ რეალობა.

ჩვენი აზრით, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლა რამდენიმე ფორმით ხორციელდებოდა. ის წარმართა მარტივიდან რთულისაკენ, მას მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ხასიათი გააჩნდა და ამის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, როგორც ეს ხდებოდა, ვფიქრობთ, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. წარმატებებთან ერთად იყო პრობლემები, რომლის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა. ეს ამ დარგის განვითარებაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებს. მან საინტერესო გზა განვლო ჟურნალისტიკიდან, პუბლიცისტიკიდან, მეცნიერულ გა-

მოკვლევებამდე. ყოველ ახლა ეტაპზე ის სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

დასაწყისში ამ დაინტერესებამ თავი იჩინა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, კერძო წერილებში, თარგმანებში, რადგან პერიოდული პრესა მაშინ, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაციის არეალი მეტად შეზღუდული იყო. ეს არის პირველი ფაზა. ქრონოლოგიურად ის მოიცავს XIX საუკუნის პირველ ნახევარს. ეს ამ თემატიკით დაინტერესების ერთი ფორმა იყო.

არსებითად იცვლება საქმის ვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატება, რომ ფართოვდება მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის არეალი. ახლა საქმეში ჩაერთო პერიოდული პრესა, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა, სულ ცოტა ხანში, მხარში ამოუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაცია შედარებით უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. ახლა ამან, უმთავრესად, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, სფეროში პოვა გამოძახილი. ეს ამ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის დაუნახაობა, ცხადია, არ ივარგებს. ქართველი პუბლიცისტები მსოფლიო ისტორიის საკითხებზე საკმაოდ ინფორმირებულები ჩანდნენ და ამ საკითხებში ჩახედულებას ამჟღავნებდნენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. მისი ნაწერები სამეცნიერო პუბლიცისტიკის შესანიშნავი ნიმუშია. ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე. ეს ამ პრობლემატიკის გაშუქების მეორე ფორმა იყო.

1921 წლამდე საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიო ისტორიის საკითხებით დაინტერესების კულმინაციად, პიკად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები მიგვაჩნია. დაწყებული მუშაობა მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე, მსოფლიო

ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ ახალი რაკურსი შეიძინა და პერიოდული პრესის, ჟურნალ-გაზეთების, ფურცლებიდან, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში გადაინაცვლა. იმდროინდელი ქართული რეალობიდან გამომდინარე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. საქართველოში მსოფლიო ისტორიით დაინტერესებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ჰქონდა გამოცხადი. მაგრამ ძირითადად პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ამ კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. ეს არც ამ მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას არავითარ ჩრდილს არ აყენებს, არანაირად არ აკნინებს. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისება XX საუკუნის პირველი წლების ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და პირველ რიგში, ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუნყოს, ევროპულ, უწინარესად, რუსულ ისტორიოგრაფიას. ეს მათი, კიდევ ერთი დადებითი მხარეა. ეს ამ დაინტერესების მესამე ფორმაა. ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციიდან მეცნიერულ შესწავლაზე გადასვლის საქმეში დამაკავშირებელ რგოლად შეიძლება იქნას მოაზრებული. საქმე გვაქვს ამ დაინტერესების წინაპირობასთან. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ეს რაც შეეხება გასაბჭოებამდე ქართულ სინამდვილეს. რა მდგომარეობა გვაქვს გასაბჭოების შემდგომ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ისიც ორი ფაზისაგან შედგება. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და გამოკვეთილი პოლიტიკური ნიშნით გამოირჩევა. ერთი საბჭოთა პერიოდთან, ხოლო მეორე კი, პოსტსაბჭოთა ხანასთან, ასოცირდება. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა XX საუკუნის დასაწყისიდან, კონკრეტულად, მხედველობაში გვაქვს 1918 წელი, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთანაა დაკავშირებული, რომლისადმი მკვეთრად გა-

მოკვეთილად ნეგატიური დამოკიდებულება მეტად სწორხაზოვანია და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებს. ერთ შემთხვევაში მას დადებითი მუხტი შეიძლება გააჩნდეს. ასეთად მიგვაჩნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, შეიძლება პოლიტიკურ კატაკლიზმებს უარყოფითი გავლენა ჰქონდეს. ასეთი იყო საქართველოს გასაბჭოება 1921 წელს. 90-იან წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლას კვლავ პოზიტიური დატვირთვა გააჩნია.

მიუბრუნდეთ საბჭოთა პერიოდს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის დაუნახაობა, ცხადია, არ ივარგებს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან, რეგრესთან. ევროპული ისტორიოგრაფიის აპელირება საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისზე. იმაზე გაცილებით უფრო ანგარისგასანევი უნდა ჩანდეს, ვიდრე ეს საბჭოთა პერიოდში ეგონათ. ეს გახლავთ მესამე ფორმის გაუარესებული ვარიანტია.

ახლა ვნახოთ მეორე ფაზა. ეს არის პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. მისი მთავარი ლაიტმოტივია ვინოდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან თავის დაღწევის, გათავისუფლების მცდელობა. სწორ გზაზე დაბრუნება, სწორი არჩევანის გაკეთება. სწორი აქცენტების დასმა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, ვფიქრობთ, წინ დიდი და შრომატევადი სამუშაო უძევს. ამჯერად, საქმე



გვაქვს მესამე ფორმის რეანიმაციის მცდელობასთან.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესს, რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს, ეს ადეკვატური არ იქნებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის უმთავრესად ხორციელდება სიფართოვეში და არა სიღრმეში. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ უპირატესად, პრიორიტეტი ენიჭება რაოდენობრივ ცვლილებებს და არა თვისებრივს, ხარისხობრივს. რაც, ცხადია, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდის პროცესი დროში ძალიან გაიწელა და მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამას კარგად უნდა გაცნობიერება, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს მთლად ასე როდი ხდება. ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემად, სწორედ, სიღრმე-სიფართოვეში განვითარება გვესახება. ეს კი ასოცირდება არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებთან და დააჩქარებს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესს. მთელი ძალისხმევა, სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართოთ. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება უმტკივნეული პროცესი, წარმატებებთან ერთად იქნება პრობლემები. ამის დრამატიზირება ანდაც აპოლოგეტური შეფასება, ცხადია, არ ღირს, გადაჭარბებული უნდა იყოს. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ზრდის კრიზისთან“. მეორეში არა. ის უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს და ლეტალურ ანუ სასიკვდილო ხასიათს იძენს. ცხადია, ასეთად მიგვაჩნია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რეანიმაციის ნებისმიერი მცდელობა.

ასე გვესახება საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, საერთო სურათი და პერიოდიზაცია, დარგის განვითარების საკვანძო მომენტები. შეგახსენებთ, რომ განსხვავებულ ხედვას საფუძვლად უძევს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, როგორც ამ

დარგის განვითარების საინტერესო წყარო. ამ რაკურსით აღნიშნული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ. ის საქართველოში მსოფლიო ისტორიის გაშუქებაზე სრულიად განსხვავებულ წარმოდგენას გვიქმნის, ვიდრე ეს იყო საბჭოთა წლებში.

დასასრულს კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. და არა საქართველოს გასაბჭოება 1921 წელს, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში. ეს მონაკვეთი ამ დარგის წინსვლასთან, პროგრესთან, კი არ ასოცირდება, როგორც ეს დიდხნის განმავლობაში ეგონათ, არამედ რეგრესთან. საქმე გავქვს სწორი გზიდან გადახვევასთან. ამ დარგის ჩასახვა, განვითარებას, არავითარი კავშირი არ გააჩნია საქართველოს გასაბჭოებასთან. ეს იყო კიდევ ერთი საბჭოთა მითი. ამაში გასაკვირის არც არაფერია, ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მითებს რეალობა ამსხვრევს, ხატოვნად, რომ ვთქვათ ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებას როდი უკავშირდება.

ამგვარად, ვაჯამებთ რა, ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობთ, ასეთი საინტერესო სურათის იკვეთება. ნაშრომის რეზიუმე აი ასე გვესახება. გამეორება ცოდნის დედაა. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ ნაშრომის მთავარ კვინტესენციას, დედააზრს წარმოადგენს:

1. ჩვენ ვცადეთ, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საბჭოთა წარმოდგენის რევიზია. დავინწყით იმით, რომ აღნიშნული პრობლემისადმი საბჭოთა მიდგომა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძ-

ველს მოკლებულია, ძირშივე მცდარია. მეტად ხისტად მიგვაჩნია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. ფაქტების სანინაალმდეგოდ გვიმტკიცებდენ თითქოს ამ დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. წინამორბედების წვლილის სრული უგულებელყოფა, იგნორირება, საბჭოთა მიდგომის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია, ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ცხადია შემთხვევითი არ ყოფილა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ, გაგვესწორებინა, შეუსაბამობა სულ სხვა აქცენტების დავსვით. სულ სხვა პრიორიტეტები დავსახეთ. ამ დარგის განვითარების განსხვავებული სურათი დავდეთ, რომელსაც საბჭოთა წარმოდგენების ალტერნეტივად მოვიაზრებთ. არსებითად საქმე გვაქვს მეტად საინტერესო პრობლემასთან, რომელიც დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი „მსოფლიო ისტორიის შესწავლა 1918-1921 წლებში საქართველის დამოკრპატიულ რესპუბლიკაში“.

2. განსხვავებული მიდგომის მთავარ თეზად გვევლინება ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დამოკრპატიული რესპუბლიკის წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა წლებში, ფაქტობრივად, ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის ისტორიიდან. ამ მონაკვეთს, დიდი ხნის განმავლობაში, ჩამორთმეული ჰქონდა არსებობის უფლება და ჩვენ დაუბრუნეთ მას ის. ვცადეთ მოგვეძებნა მისთვის ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი. რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ, პოპულარიზაციამ, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად, ასახვა პოვა 1918-1921 წლებში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. ეს გახლავთ სწორ გზაზე გადადგ-

მული პირველი ნაბიჯი, ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ სწორედ ამაში, უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ მისადმი მკვეთრად. გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს და სავსებით გაკოტრებულია. აი, ასე გვესახება რეალობა. მისი არც შელამაზება ვარდისფერებში წარმოჩენა და არც ზედმეტად გამუქება. ცხადია, არ ღირს.

3. აღნიშნული საკითხისადმი ამგვარი ინდეფერენტული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არაა, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილად პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ის ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო. ეს თემა უფრო მეტად პოლიტიკური განსჯის საგანს წარმოადგენდა და არა აკადემიური მსჯელობის. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ პრობლემის გაშუქება მეცნიერულ კალაპოტში დაგვებრუნებინა. ეს თემა აკადემიური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

4. საქართველოში მსოფლიო ისტორიის სერიოზული შესწავლის დაწყება 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოებით, დაგვიანებულად მიგვაჩნია, ამ დარგს იმაზე გაცილებით უფრო ხანგრძლივი წარსული გააჩნია, ვიდრე ეს საბჭოთა პერიოდში ეგონათ. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლას თავისი ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა და მისი სათავეები XIX საუკუნის დასაწყისში, და კიდევ უფრო ადრე, უნდა ვეძებოთ. ის სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა და რამდენიმე პერიოდი განვლო. აქ პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ახალი ისტორია. ეს არ შეეხება ძველ მსოფლიო ისტორიას და

შუა საუკუნეებს. მას განსხვავებული პერიოდიზაცია გააჩნიათ. 1918 წლამდე საქართველოში ამ დარგების შესწავლაზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევად მიგვაჩნია.

5. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის აკვანი დაირწა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უფერტიურად გაისმა და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამ წლებში გამოსულმა მსოფლიო ისტორიის პირველმა ეროვნულმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს სახელმძღვანელოები ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად მიგვაჩნია. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა რაც ლაიტმოტივად გასდევს საბჭოთა პერიოდს უადგილო იქნებოდა. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური, ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში.

6. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში სწორი გზით მიდიოდნენ. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ

დასახული. სწორი კურსი აირჩიეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირატესად, პრიორიტეტული გახლდათ თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალუზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, აპოლოგეტური მიდგომით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ, ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალები ხაზის გამონახვა სულაც არ იქნება ადვილი საქმე, წინამდებარე ნაშრომი ამის ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. თუ როგორ გავართვით თავი ამ რთულ მისიას, ეს ალბათ, მეცნიერული განსჯის საგანი გახდება.

7. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფია იძულებული იყო სწორი გზიდან გადაეხვია, სულ სხვა მიმართულებით წასულიყო, რომელიც, კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, როგორც ამას წლების მანძილზე გვიმტკიცებდნენ, ძნელია მივიჩნიოთ. არსებობს დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, ისინი დანყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. ამის პოტენციული და შესაძლებლობა ნამდვილად არსებობდა, დაინყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს არ იყო პატარა საქმე და ამის მიჩქმალვა, მიჩუმება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. 1918-1921 წლებში საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლებამ, შესწავლამ, პოპულარიზაციამ ეროვნული მუხტი შეიძინა და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი მიიღო.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მხოლოდ მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი გახლავთ, რომელზე მუშაობის დანყება მოასწრეს. შეუდგენენ მუშაობას მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს მათი ჩანაფიქრის პირველი ნაწილი იყო, სულ ის სამ საფეხურად წარმოგვიდგენია. ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ ამას მოყვებოდა მეორე საფეხური, რომელიც ითვალისწინებდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დანერას, რომელიც დიდი ალბათობით, იმ კარგი ტრადიციის ღირსეული გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. და ბოლოს, ჩანაფიქრის დასკვნით აკორდად გვევლინება მესამე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლას.

8. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, კულმინაციად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები უნდა დავსახოთ. ის, უპირატესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახა, ვინაიდან პოლიტიკური ქართველების გამო, უბრალოდ, მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. ეს გახლავთ რეალობა, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში თვალს ხუჭავდნენ. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხში სერიოზული თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებს ადგილი ჰქონდა არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, მსოფლიო ისტორიის შესწავლა, პოპულარიზაცია, საქართველოში შეუქცევად ხასიათს იძენს. სულ

ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. მრავალი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ.

აღნიშნულ წლებში მიმდინარე სიახლეების და ნოვაციების გადაჭარბება მიზანშეწონილი არ იქნებოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ საუბარია მის კონტურებზე, წანამძღვრებზე, სიმპტომებზე, პირველ ნიშნებზე, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის, წინაპირობასთან. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ამგვარი დამოკიდებულება უფრო სწორი იქნებოდა.

ასე გვესახება საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის წარსული, მისი ისტორია, რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის, არეალში ვერ ხვდებოდა, რეალობის საპირწონე ლეგენდა გახლდათ, როგორც კი პოლიტიკური კონიუქტურა შეიცვალა იმ წამს ჩამოიშალა, გაკოტრდა. მითებს რეალობა ამსხვრევს, ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება. საუბარს, სწორედ ამ ფრთოსანი ფრაზით დავასრულებთ.



## **სარჩევი**

შესავალი ..... 3

### **თავი პირველი**

მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო

სახელმძღვანელოები, როგორც ამ დარგის

ისტორიის წყარო. .... 9

### **თავი მეორე**

ერთი საბჭოთა მითი ..... 27

### **თავი მესამე**

მითებს რეალობა ამსხვრევს ..... 45

დასკვნა ..... 74





სტამბა დამანი  
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

📘 სტამბა დამანი / Print House Damani

